

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭ-დვის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ორშაბათი, 12 დეკემბერი. 2022 წ. №185 (9523) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

## ბოლო ორ წელიწადში სომხეთიდან აფხაზეთში 20 000-ზე მეტი ყარაბაღელი სომეხი ჩაასახლეს!



დიდი ხანია, ცნობილია აფხაზეთში სომეხთა ჩასახლების სქემაც. ადგილობრივთაგან არავისთვისაა საიდუმლო, რომ ამ პროცესის უკან სწორედ ის რუბენ ტატულიანი დგას – ყოფილი სპორტსმენი და მსხვილი ბიზნესმენი, რომელიც ყველაფერთან ერთად, რამდენიმე წლის წინ მოკლული „კანონიერი ქურდის“ – „დედ ჰასანის“ მემკვიდრედ ითვლება და რუსულ კრიმინალურ სამყაროში „რობსონის“ მეტსახელითაა ცნობილი.



## SOS!

8 9

## „ბიჭვინთა ჩვენია“!

### რით დასრულდება ბრძოლა აფხაზეთის საუკეთესო კურორტისთვის

## საქართველო მშვიდობის ქვეყანაა!

3

## საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს გამიზნული დეზინფორმაცია!

4

## ნათელა ვასაძე: მატერიალური სიმდიდრე არასდროს მიძებნია, მაგრამ მაინც ყველაზე მდიდარი ვიყავი...



**გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა 8 დეკემბერს საოცარ, განუმეორებელ გარემოში მიგვიწვია...** აღმაშენებლის ხეივნიდან დედაქალაქის შემოსასვლელში მდებარე ულამაზესი არქიტექტურის მქონე კამპუ საახალწლოდ განსაკუთრებულად გახლდათ მოკაზმული.

Alma Mater-ში კლასიკური მუსიკის ჰანგები ჟღერდა... შეგახსენებთ, რომ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი არსებობის 30-წლიან ისტორიას ითვლის. 1996 წლიდან ის ღირსეულად ატარებს XX საუკუნის ყველაზე გამორჩეული და კოლორიტური მწერლის გრიგოლ რობაქიძის სახელს.

უნივერსიტეტმა გამოიარა მრავალი ქარტეხილი და დღეს სამართლიანად ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო უმაღლეს სასწავლებლად... უნივერსიტეტის სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებაში. წარმატებულ სტუდენტებს საშუალება აქვთ საზღვარგარეთ გაცვლით პროგრამებში მიიღონ მონაწილეობა. სასიამოვნოა იმის ხაზგასმაც, რომ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები, დასაქმების თვალსაზრისით, მოწინავე ადგილს იკავებენ ქვეყნის და, სხვათაშორის, საერთაშორისო მასშტაბითაც!

უნივერსიტეტის მთავარი მიღწევა-სწავლების მაღალი ხარისხი, სამეცნიერო მიღწევებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამების და სტუდენტის ინტერესებზე მორგებული სასწავლო გეგმის განხორციელებასთან ერთად, გახლავთ ოჯახური გარემო, რაც სტუდენტებსაც და პროფესორ-მასწავლებლებსაც ერთნაირი მონდომებით იზიდავს ნოვაციებით სავსე უნივერსიტეტში.



უნივერსიტეტის რექტორი მამუკა თავხელიძე გრიგოლ რობაქიძის პირველ პრემიას გადასცემს ნათელა ვასაძეს

იხ. 6 გვ.

## კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრებისა და დაბადების საიუბილეო თარიღები შეზღუდული სახით აღინიშნება

**საქართველოს საპატრიარქოს ინფორმაციით, უკრაინასა და მსოფლიოში არსებული რთული ვითარების გათვალისწინებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრებისა და დაბადების საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით, მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის კურთხევით, ღონისძიებები ზოგადად შეზღუდული სახით ჩატარდება.**



**„ამასთანავე, არ იგეგმება ეკლესიათა მეთაურების, მათი წარმომადგენლების ან საერო პირთა მოწვევა“**, – ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში.

## ფონდ „ქართუს“ კიდევ ერთი ღვთის სახლი სოფელ ჭალა-ბოხვაურში!

**საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალა-ბოხვაურში მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის ტაძარი გაიხსნა.** ეკლესია, რომელსაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული მე 19 საუკუნით თარიღდება. ნაგებობისგან მხოლოდ სამრეკლო და ნანგრევები იყო შემორჩენილი. ფონდი „ქართუს“ მხარდაჭერით მოხდა მისი სრული რეაბილიტაცია და ტაძარს ისევ დაუბრუნდა ძველი იერსახე.

**„აღნიშნული ტაძარი იყო სრულიად განადგურებული, დანგრეული და მისგან იყო დარჩენილი მხოლოდ სამრეკლო. საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ დახმარებით და ძალისხმევით ტაძარს დაუბრუნდა ძველი იერსახე“,** – განაცხადა სახელმწიფო რწმუნებულმა გურიაში, გიორგი ურუშაძემ.



№185. ორშაბათი, 12 დეკემბერი, 2022 წელი.



# ჩვენი უმთავრესი მიზანი ადამიანის უფლებების დაცვაა!

## პრემიერ-მინისტრის განცხადება

1948 წლის 10 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე მიიღეს „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია". ეს თარიღი სამუდამოდ შევიდა ისტორიაში როგორც გარდამტეხი ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით. ამ დღეს ცივილიზებული სამყარო შეთანხმდა, რომ ყველა ადამიანს, მიუხედავად მისი კუთვნილებისა და განსხვავებულობისა, აქვს თანდაყოლილი უფლებები და ყველა სახელმწიფო ვალდებულია ამას პატივი სცეს.

აღსანიშნავია, რომ დღეს მოქმედი 1995 წლის კონსტიტუცია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრეობას ეფუძნება, რომელიც იმდროინდელ მსოფლიო კონსტიტუციურ წესრიგში პროგრესულ პოლიტიკურ-სამართლებრივ დოკუმენტს წარმოადგენდა და მთავარ მიზნად ადამიანის უფლებების დაცვას განამტკიცებდა. სწორედ აღნიშნული ძირითადი კანონის სულისკვეთებით, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი დამოუკიდებელ მუხლად საქართველოს კონსტიტუციის ძირითად ტექსტში 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ აისახა.

ქართველი ხალხის ნების შესაბამისად, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების გზით ხელისუფლებაში მოსულმა გუნდმა უპირველეს მიზნად კონსტიტუციის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების განუხრელი დაცვა დაისახა.

ჩვენი ხელისუფლების უმთავრესი პრიორიტეტია საქართველოს მოქალაქეებისთვის თანასწორი, თავისუფალი და ღირსეული პირობების შექმნა, განურჩევლად მათი რომელიმე ჯგუფისადმი კუთვნილებისა, ვინაიდან გვწამს, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე აუცილებელია ყველა ჯგუფისა და ინდივიდის ინტერესების დაცვა და მათ უფლებრივ მდგომარეობაზე ზრუნვა.

ამ სულისკვეთებით, 2014 წელს მთავრობამ პირველად დაამტკიცა 2014-2020 წლების საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია. სტრატეგიის ფარგლებში დამტკიცდა სამი სამოქმედო გეგმა. ამ პერიოდის განმავლობაში ქვეყნის ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები განახორციელა და საქართველოს კანონმდებლობა დაუახლოვდა საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს.

საქართველოს მთავრობა აგრძელებს უფლებების დაცვის მიმართულებით მუშაობას. მიმდინარე წლის 5 სექტემბერს მთავრობამ მოიწონა 2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის რიგით მეორე ეროვნული სტრატეგია. სტრატეგია მიზნად ისახავს საკანონმდებლო ჩარჩოს ეფექტიან იმპლემენტაციას პრაქტიკაში და ფარავს ისეთ პრიორიტეტებს, როგორიცაა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, მართლმსაჯულება და ინსტიტუციური დემოკრატია, ეკონომიკური და სოციალური უფლებები, მოწყვლადი ჯგუფებისა და ოკუპაციის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დაცვა. უახლოეს პერიოდში დაიწყება მუშაობა სამოქმედო გეგმაზე, სადაც ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა იქნება უზრუნველყოფილი.

გარდა ამისა, მიმდინარე წლის 25 ოქტომბერს საქართველოს მთავრობამ ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა და ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა დასაცავად 2022-2024 წლებში გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმა დაამტკიცა.

დღევანდელი გამოწვევებით სავსე მსოფლიოში ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებზე ზრუნვა გაორმაგებული ძალისხმევით არის საჭირო. საქართველოს მთავრობა კვლავ ადასტურებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ვალდებულების მიმართ სახელმწიფოს ერთგულებას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემური, თანამიმდევრული და გრძელვადიანი პოლიტიკის შემუშავებასა და წარმართვას.

მტკიცედ გვწამს, რომ ჩვენი ძალისხმევითა და საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით, კიდევ უფრო მივუახლოვდებით საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლით გაცხადებულ მიზანს — ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველყოფას.

**ირაკლი ღარიბაშვილი**

საქართველოს პრემიერ-მინისტრი



# ბელგიაში ევროპარლამენტის მაღალჩინოსნები დაიჭირეს!

**ბელგიაში ევროპარლამენტის 4 მაღალჩინოსანი, მათ შორის ევროპარლამენტის ვიცე-თავმჯდომარე ევა კაილი დააკავეს. დაკავებულები კატარში ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ლობირებაში და კორუფციაში არიან ეჭვმიტანილები. ჩხრეკის შედეგად პოლიციამ ნაღდი ფულის სახით 600 000 ევრო ამოიღო.**

ბელგიის პროკურატურა დაკავებულთა ვინაობას ოფიციალურად არ ასახელებს. ბერძნული მედიის ინფორმაციით, დაკავებული ევა კაილი არის ბერძნული სოციალისტური პარტიის წევრი. ვრცელდება ინფორმაცია, რომ ის პარტიიდან უკვე გარიცხეს. ფედერალური პროკურატურა ევროპარლამენტში შესაძლო კორუფციის საქმეს ივლისიდან იძიებს. პროკურატურის წარმომადგენელმა ერიკ ვან დუისმა განაცხადა, რომ „სპარსეთის ყურის ერთ-ერთი ქვეყნის მიერ ევროპარლამენტის ეკონომიკურ და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე ზემოქმედების მცდელობის" ეჭვი არსებობს ევროპარლამენტის მაღალჩინოსნების მოქრთამვის გზით. ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, დაკავებულთა შორის არის პროფკავშირების საერთაშორისო კონფედერაციის გენერალური მდივანი ლუკა ვისენტინი და ევროპარლამენტის წევრი იტალიიდან პიერ ანტონიო პანცერი.

# ოთარ ჩხობაძის სახელობის კლინიკა იმერეთის რეგიონის სიამაყე იქნება!

**ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ილია ღუდუშაურმა ქუთაისში ოთარ ჩხობაძის სახელობის მრავალპროფილური სამედიცინო დაწესებულების სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა. სამედიცინო დაწესებულებაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოები საოპერაციო, წინასაოპერაციო, წინასაპროცედურო, საპროცედურო, პოსტოპერაციული პალატებისა და სხვა დამხმარე სივრცეების მოწყობას ითვალისწინებს, რის შედეგადაც, რეგიონში ქირურგიული სერვისების მიწოდება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება.**

ილია ღუდუშაურის განცხადებით, სამედიცინო დაწესებულება პაციენტისა და სამედიცინო პერსონალის საჭიროებებზე სრულად იქნება მორგებული.

გარდა ამისა, ქუთაისში მეტადონის ჩანაცვლებითი თერაპიის ახალი განყოფილება ქალაქის ცენტრიდან გარეუბანში გადაინაცვლებს.

# სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურში პარამედიკოსის სისტემა დაინერგება

**სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურში პარამედიკოსის სისტემის დანერგვა იგეგმება. შესაბამისი ცვლილებები „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" კანონში შედის, რომლის ინიციატორი მთავრობაა.**

მთავრობა განმარტავს, რომ შესწავლილი და გაანალიზებულია 50-ზე მეტი ქვეყნის საერთაშორისო გამოცდილება და მიზანშეწონილია, სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურში პარამედიკოსის ფართოდ დანერგვა. მათი ცნობით, აღნიშნული სპეციალობა კლასიფიცირდება პროფესიების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორში, ISCO-08 გამოცემის მიხედვით, ქვეჯგუფში „ჯანდაცვის პროფესიონალები".

**„პარამედიკოსი, საერთაშორისო კვლევების თანახმად, ეფექტურია ექიმთან შედარებით გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისას, რადგან მას აქვს შესაბამისი ფიზიკური უნარები; მოქმედებს დროის მოკლე პერიოდში პროტოკოლებით, სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით და საჭიროებისას ახდენს დროულ ჰოსპიტალიზაციას; პარამედიკოსის მომზადების პროგრამა სრულად ორიენტირებულია პრეჰოსპიტალურ ეტაპზე გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე, შესაბამისად, მას შეუძლია, ექიმზე სწრაფად ამოიცნოს გადაუდებელი მდგომარეობა და სწორად განსაზღვროს დახმარების აღმოჩენის გზები",** — აღნიშნულია კანონპროექტში.

**ცვლილებების გათვალისწინებით, პარამედიკოსის კომპეტენციას განსაზღვრავს ჯანდაცვის სამინისტრო, ხოლო სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლის დიპლომირებულ კურსდამთავრებულის უფლებებს დაემატება შესაბამისი სპეციალიზაციის კურსის გავლის შემდგომ, პარამედიკოსის პოზიციაზე საქმიანობის უფლება.**



# დავით კუხალაშვილი: რასაც რუსეთის დაზვერვა ბინძურად და პირდაპირი მეთოდოლოგიით აკეთებს, მაღალი დემოკრატიის სახელმწიფოები ამას ღიმილით აკეთებენ...

უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედების პარალელურად, რუსეთი საკუთარ ტერიტორიაზე პერიოდულად მასშტაბურ ხანძარს ებრძვის. ამჯერად, ცეცხლი რუსეთის დედაქალაქში მდებარე სავაჭრო კომპლექსს, „მეგა ხიმკის" გაუჩნდა. საუბარია დაახლოებით 18 ათასი კვადრატული მეტრის ფართობის ტერიტორიაზე. რუსეთის საგანგებო სიტუაციების სამსახურში აცხადებენ, რომ ცეცხლი გაუჩნდა სავაჭრო ცენტრის სახურავს, შემდეგ გაისმა აფეთქებების ხმა, რასაც კონსტრუქციის ჩამონგრევა მოჰყვა. ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში, დავით კუხალაშვილი არ გამორიცხავს, რომ ეს იყოს რუსეთის დივერსიული ჯგუფების მიერ ორგანიზებული ქმედება.

**— ბატონო დავით, კრემლი ამ ეტაპზე დივერსიაზე არ საუბრობს, თუმცა რუსეთის პრეზიდენტი აცხადებს, რომ ასეთი ქმედებების მძიმე შედეგებს დღეს უკრაინაში ვხედავთ. პირველადი ინფორმაციით ეს არის უბედური შემთხვევა, მაგრამ მსგავსი ფაქტები ხშირია. ომის დაწყებიდან ძალიან მალე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ უკრაინა რუსეთის ტერიტორიაზე დაიწყებდა პარტიზანულ ომს. რასაც ვაკვირდებით, ეს თავისი მოქმედებით არ არის პარტიზანული ომის ნაწილი, მაგრამ შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ სწორედ დივერსიული ჯგუფები დგანან ამის უკან?**

— სამ შემთხვევაზე შეიძლება ვისაუბროთ: პირველი ვერსია — დივერსიული ჯგუფები. მეორე — ეს შეიძლება იყოს უკრაინული დივერსიული ჯგუფები, ან უცხო ქვეყნების დავალებით მოქმედი პირები, ან პირთა ჯგუფები, რომლებიც ამ საქმეზე მუშაობენ და მესამე ვერსია — ეს შეიძლება იყოს თვითონ რუსეთის სამხედრო დაზვერვის მიერ ორგანიზებული პროცესები, რომელიც შესაძლებელია საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციისთვის სჭირდებოდეს. გვახსოვს ყირიმში ხიდის აფეთქება რა შედეგები მოიტანა უკრაინისთვის, ამ დროს სულ სხვა შედეგებისთვის იყო გათვლილი. ვფიქრობ, რომ ამ სამი მიმართულებით უნდა ვიმსჯელოთ.

ზოგადად, ნებისმიერი ქმედება, რომელსაც რუსეთის ფედერაცია, აშშ და ევროპული სახელმწიფოები ახორციელებენ, საბრძოლო მოქმე-

# საქართველო მშვიდობის ქვეყანაა!




**ახალი წლისთვის მზადება კარგა ხანია დაწყებულია. არ ვიცი, რა უნდა მოხდეს, რომ ამ დღეებში საზეიმო განწყობილება არ დაეუფლოს ადამიანს, მაგრამ თურმე არსებობს ამ განწყობის დამთრგუნველი მიზეზები.. ზოგისთვის პირადული და ზოგისთვის რა...**

საახალწლო სამზადისის ის ბავშვური კომპლექსი თუ ძალიან საამო განცდა, რაც აქამომდე მომყვა, ჩემთვის სადღაც გაქრა, დეკემბრის უჟმურ და ცივ ამინდებში ჩაიკარგა. არა, არა, ძვირფასო მკითხველებო, ეს თქვენ არ გეხებათ. ყველამ გაიხარეთ, განეწყვეთ საზეიმოდ, ხალისით შეხვდით ახალ წელს, მით უფრო, რომ საზეიმოდ მართლაც გვაქვს ქართველ ხალხს საქმე! განა ცოტას ნიშნავს, რომ ამ უმკაცრეს დროში, როცა მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები საომარი იარაღების ახალი კოლექციების გამოგონებასა და შექმნაზე ფიქრობენ, როცა აგერ, ა, არც თუ ისე შორს, ომია გაჩაღებული, როცა ჩვენს თვალწინ ნადგურდება ერთ დროს მშვენიერი და ძლიერი უკრაინის სახელმწიფო, როცა ნგრევა, სისხლისღვრა, ტერორი, წამება და უბედურება აიძულებს მილიონობით ადამიანს, დატოვოს თავისი მშობლური გარემო და სხვა ქვეყანას შეაფაროს თავი, როცა ვიღაცებს სურს, რომ ჩვენც, ქართველი ხალხიც გავეხვიოთ ცეცხლში, მტკივნეულ ჭრილობაზე ფეხს გვაჭერენ და ირონიულად შეგვახსენებენ რუსების მიერ ოკუპირებულ ჩვენს ტერიტორიებს, არ გინდათ იქით ტანკებით გაისეირნოთო?..

გესმით, რას გვეუბნებიან? და... სწორედ, ასეთ დროს, მყარად დგას ჩვენი ქვეყანა, ინარჩუნებს მაქსიმალურ სიმშვიდეს,ზრუნავს ხალხზე და ხალხის სურვილის განსახორციელბლად ევროპისკენ მიმავალ გზაზე ენერგიულად მიაბიჯებს. ამას ადამიანები, თუნდაც ბრმები იყვნენ ისინი, გრძნობენ და ხედავენ.

დიახ, ბრმებიც კი! მაგრამ, არ ვიცი ვინ არიან, რა კატეგორიას მიეკუთვნებიან სხვაგვარად მოფიქრალნი, უფრო სწორად – უკუღმა მოფიქრალნი, ურწმუნონი... „სხვაგვარად მოფიქრალნიო?“ – რას ამბობთ, ფიქრი რად უნდათ, დაუფიქრებლად გაჰყვირიან ტელეარხებიდან თუ საიდან არა, – არიქა, შევაჩეროთ საქართველო, მას მისი მთავრობა რუსეთისკენ მიაქანებსო!..

ზოგიერთებს, ჩვენში ხომ უბნევენ და უბნევენ ტვინს და განა მარტო ჩვენში, არა, საზღვარგარეთაც გაიჭრნენ, ეგრეთ წოდებული ლობისტები „გაიჩინეს“, პირდაპირ და დაუფარავად, საგულდაგულოდ არწმუნებენ ევროკავშირის წარმომადგენლებს – საქართველოს მთავრობას თქვენთან კი არა, რუსეთთან კავშირი უნდაო... არა, სასწაული რა არის იცით? ევროპის ქვეყნებსა და ამერიკაში ამდენი გამგზავრება-გამომგზავრება, მიღება-გასტუმრება, შეხვედრები, მოწვევა-მიწვევები, ნატოსა და ევროპის საბჭოს სამიტები, მეგობრობისა და სხვადასხვა მიმართულებაში ურთიერთობების ხელშეკრულებები და სხვა ათასი, ევროპული მიზნებით სავსე, მყარი, პოლიტიკური ნაბიჯები, გამაგებინეთ, რაში სჭირდება საქართველოს, თუ რუსეთთან, როგორც დაუნდობელ ოკუპანტთან კავშირი უნდა?

რა აქვს დასამალავი, არ დადიან სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლები კრემლში და არ ურთიერთობენ რუსეთთან თუ რა? საქართველო, რომლის დედაქალაქთან ოც-ოცდაათ კილომეტრში რუსეთის ჯარი დგას, რამოდენა რისკს სწევს, როცა ევროპისკენ ისწრაფვის, როცა გაცხადებულად ევროკავშირის სივრცეში ყოფნა უნდა, განა ძნელი მისახვედრია ქართველი ხალხისა და მისი მთავრობის მიზნები? მისახვედრი და გასაგებია ყველა პატიოსანი და საღად მოაზროვნე ადამიანისთვის, მაგრამ რა ვქნათ, რომ მრუდედ მოაზროვნე გარედან კი არა, შიგნით უფრო გვყავს, საკმაოდ ბევრიც... დიახ, მრუდედ მოაზროვნე უმადურები!

ეს უმადურობა, პირდაპირ მტრობაში გადაზრდილი, ხშირად მაშინ იჩენს თავს, როდესაც ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი საკითხი უნდა გადაწყდეს. რაც არ უნდა კარგი გააკეთოს საქართველოს მთავრობამ, რაც არ უნდა იზრუნოს ხალხის კეთილდღეობისთვის, ალმაცერად მომზირალნი მაშინვე გამოჩნდებიან და მაშინვე ხლართავენ ინტრიგებს. მზადყოფნაში ჰყავთ საინფორმაციო წყაროებიც და იწყება შეფერადებული ზღაპრების განვრცობა.

**ლამის არის და უკვე მთელ ევროპას დაანახონ ის საქართველო, რომელიც არ არსებობს, მაგრამ მათ ფანტაზიაში არის, დაჩლუნგებული, დემორალიზებული, ერთპიროვნულად მართული, არადემოკრატიული და ეპოქას ჩამორჩენილი საქართველო... არა, მათ ფანტაზიაში კი არა, სადა აქვთ ფანტაზია, არა, მათ უნდათ ასეთი საქართველო, იმდენად უნდათ, რომ, როდესაც დედაქალაქის ამღორძინებელმა მერმა თბილისისთვის სლოგანად „მშვიდობის ქალაქი“ შემოგვთავაზა, როგორო, რა მშვიდობაო, აგე, რა დღეშია უკრაინაო...**

**არ ვიცი საკუთარ სამშობლოს უკრაინასთან ან ვინმე სხვა სახელმწიფოსთან რატომ აიგივებენ ან, რა ამოიჩემეს, რატომ ცდილობენ რომ დაგვიპირისპირონ უკრაინელი ხალხი. ჩვენ ხომ ამ ხალხთან დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს, განა გვაკლია თანაგრძნობა და პატივისცემა რუსეთის თავდასხმებით აწიოკებული სახელმწიფოსადმი?**

**დიახ, კითხვები ბევრია, მაგრამ ვინ არის პასუხის გამცემი. რასაც ამბობენ უნდა დაიჯერო. საქართველოში ბევრს ვერ პოულობენ თავიანთი უკუღმართი აზრებისა და მოსაზრებების გამზიარებლებს, სამაგიეროდ, ევროპაში მიაგნეს, იპოვეს მოკავშირეები და ახლა იმათი პირით გვამუნათებენ. და ზოგჯერ გვასწავლიან იმას და ისეთ რამესაც კი, რაც ჩვენგან უნდა ისწავლონ. იბადება ეჭვები და ყოველივე ეს დადებითად როდი მოქმედებს ქართველ ხალხის წარმოდგენაზე ევროპელებისადმი.**

**ათასწლოვან ჭირვარამში გამოვლილი, უძველეს, ცივილიზებულ ერთან თუ დამეგობრება გინდა, აუცილებელია კარგად შეისწავლო მისი ბუნება და მის საყრდენ ხერხემალზე საუბარი ჰაიჰარად ვერ უნდა გაბედო. ეს ხერხემალი ჩვენი სიმტკიცე, სიამაყე და შეუპოვრობაა.**

შეიძლება მათ ის ენატანია ჭინკები ვგონივართ, რომელთაც თავიანთი ქმედებებით, ჩვენი ანუ საქართველოს სახე უკუღმა დაანახეს ევროკავშირის წარმომადგენლებს და სხვა ევროპელ პოლიტიკოსებს? ეჰ, რას ვიზამთ, ვერ დავმალავთ იმ ნაკლს, რომელიც იმთავითვე მოგვდევს – შურიანობა და გაუტანლობა, რაიც ჭუჭყიანი ქაფივით მოადგება ხოლმე, ქართველ ერს კრიტიკულ მომენტებში, მაგრამ არა! ისინი ცოტანი არიან და ასეთები, ბოროტები, თეთრის შავად დამნახველნი, არიან ალბათ ყველა ერში...

დიდბუნებოვან ქართველ ხალხს კი მოფრთხილება და პატივისცემა უნდა! დღეს კი, მხოლოდ თბილისი არა, მთლიანი საქართველოა მშვიდობის ქვეყანა. საბედნიეროდ, ასე წარმართა დღევანდელმა მთავრობამ ქვეყნის საქმე და სხვა რა დამრჩენია, თუ არა, ჩემს საყვარელ ქართველ ხალხს მივულოცო დამდეგი ახალი წელი. მთავრობას კი ვუსურვო ხალხთან დგომა, ქვეყნის კეთილდღეობისთვის უფრო მეტად ზრუნვა, ისეთი ახალგაზრდა პოლიტიკოსებისთვის გზის გაკაფვა, რომლებიც სამომავლოდ ხალხის სიყვარულს და ნდობას დაიმსახურებენ და შეძლებენ მომავალ არჩევნებში, ცივილიზებული და დემოკრატიული გზით, გამარჯვებას!

**ჩემს ძვირფას მკითხველებს ვულოცავ ახალ წელს. და ვულოცავ იმასაც, რომ ჩვენი საქართველო ნამდვილად მშვიდობის ქვეყანაა და ვუსურვებ, მომდევნო წლებშიც ასე მშვიდობიანად, მაგრამ უკეთეს მატერიალურ პირობებში გვეცხოვროს!**



**გულნარა სტურუა**




დებები იქნება, მცირე, თუ ფართო მასშტაბის, ამისათვის აუცილებელია, რომ ომის დაწყებამდე პერიოდში, მიმდინარეობისას და დასრულების შემდეგ, მუდმივად მუშაობდეს პროპაგანდა, რომელიც ხელშემწყობი უნდა იყოს იმ ქმედების განხორციელებისა, რომელსაც ახორციელებს ესა თუ ის სახელმწიფო თავისი სადაზვერვო სამსახურების მეშვეობით.

ამიტომ ამ საომარ მოქმედებებში ყველას სჭირდება გამამართლებელი ფაქტობრივი მასალა. აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი აზრი მობილიზებული უნდა იყოს იმისათვის, რომ თუ რუსეთის ფედერაცია რაღაც განსაკუთრებულ საზიზღრობას ჩაიდენს უკრაინასთან მიმართებაში, ამ შემთხვევაში შესაძლებელია მან საბაბად გამოიყენოს ის, მიზანმიმართული ხანძარი, რომელიც თითქოსდა უკრაინული დივერსიული ჯგუფების მიერ იყო „ორგანიზებული“.

**– ამ დროს, შესაძლებელია საერთოდ არ იყო უკრაინული დივერისიული ჯგუფების მიერ ორგანიზებული...**

– რა თქმა უნდა. პროპაგანდა მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს ისე, რომ რაც შეიძლება ადამიანები სიღრმეებში ვერ წვდებოდნენ იმ ქმედებათა აზრს, რასაც ახორციელებენ სადაზვერვო სამსახურები. ეს არის ყველა დემოკრატიული, თუ არადემოკრატიული სამსახურების სადაზვერვო სამსახურების ტაქტიკა და მით უმეტეს რუსეთის. თუმცა არის განსხვავება, რასაც რუსეთის დაზვერვა ბინძურად და პირდაპირი მეთოდოლოგიით აკეთებს, მაღალი დემოკრატიის სახელმწიფოები ამას ღიმილით აკეთებენ.

**– ამ ფონზე საინტერესო იყო ვლადიმერ პუტინის განცხადება. ის ამბობს, რომ დასავლეთის მიერ დომინანტობის შენარჩუნების მცდელობის შემდეგ მსოფლიოში კონფლიქტური პოტენციალი იზრდება. საუბრობს კონფლიქტის ხანგრძლივობაზე, მისი განცხადებები და ვითარება ბახმუტში, სადაც რუსეთის შეიარაღებულ ძალებს აქვთ წარმატება, უკვე ადასტურებს, რომ რუსეთი არ აპირებს კონფლიქტის შეჩერებას და უფრო ხისტი ხდება, ვიდრე იყო?**

– ის პროგნოზები და დასკვნები, რომლის მიმართ საზოგადოებას და მათ შორის საერთაშორისო თანამეგობრობას უყალიბდებოდა აზრი, კერძოდ, პრობლემის უკრაინის სასარგებლოდ გადაწყვეტის შესახებ, ეს აზრი პრაქტიკულად ჩამოიშალა. დასავლეთის და აშშ-ის მიერ განხორციელებული დახმარებები არის არასაკმარისი უკრაინისთვის და შესაბამისად, ეს იმას ნიშნავს, რომ მსხვერპლი და ზიანის რაოდენობა უკრაინაში იზრდება. არც აშშ და არც ევროპული სახელმწიფოები არ ცდილობენ ჩაერიონ ამ კონფლიქტში ისე, რომ შეწყვეტილ იქნას საომარი მოქმედებები.

ალბათობის მაღალი ხარისხით ვფიქრობ, რომ მსოფლიო მმართველობის, სამხედრო და ეკონომიკური წრეები დაინტერესებული არიან საომარი მოქმედების გაგრძელებით. აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ ასე მარტივად ეს ყველაფერი არ დასრულდება.

იხ. 5 გვ.

### რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო აღშფოთებულია!

# საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს გამიზნული დეზინფორმაცია!

**„გვსურს გამოვეხმაუროთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მიერ აბასთუმანში განხორციელებულ პროექტებთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ ეგრეთ წოდებულ კვლევას, რომელიც შეგნებულად ეფუძნება არასრულ და სახელმწიფო უწყებებთან გადაუმოწმებელ ინფორმაციას და შესაბამისად, არ ასახავს რეალობას.**

ის, რომ ორგანიზაციამ არ გამოითხოვა დეტალური ინფორმაცია აბასთუმანში მიმდინარე პროექტების განმახორციელებელი უწყებებიდან და კვლევა დაარქვა მხოლოდ მისთვის სასურველი ინფორმაციის საფუძველზე განვითარებულ მსჯელობას, ადასტურებს მის ერთადერთ განზრახვას — შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება კონკრეტული პირების და სახელმწიფო უწყებების დისკრედიტაციის მიზნით.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ რეალური კვლევის ჩატარება რომ ნდომებოდა, აღმოაჩენდა იმ სინამდვილეს, რომელიც სრულიად არ შეესაბამება გამოქვეყნებულ ინფორმაციას.

საქმე ისაა, რომ საქართველოს მთავრობა აბასთუმნის, როგორც ისტორიული და უნიკალური კურორტის განვითარებაზე ჯერ კიდევ 2014 წლიდან მუშაობს. ამისთვის, კურორტის განვითარების პროექტზე, 2014 წელს დაიწყო მოლაპარაკებები მსოფლიო ბანკთან. 2015 წელს კი, მსოფლიო ბანკის „რეგიონალური განვითარების მესამე პროექტის“ (RDP 3) ფარგლებში, პროგრამისთვის გამოიყო 60 მილიონი აშშ დოლარი. პროგრამა ორიენტირებული იყო ეკონომიკურად მზარდ ორ რეგიონში — სამცხე ჯავახეთსა და მცხეთა-მთიანეთში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე და მოიცავდა სამ კლასტერს: მცხეთა, აბასთუმანი და სტეფანწმინდა, რომლებსაც, შემდგომში დაემატა ბორჯომ-ბაკურიანი და დუშეთი.

დაიწყო კურორტის გეგმაზომიერი განვითარება, რომელიც მოიცავდა აბასთუმნის ისტორიული შენობების, ევგენი ხარაძის სახელობის ობსერვატორიის და 1982 წელს აშენებული საბაგირო გზის რეაბილიტაციას, ობსერვატორიისათვის საჭირო აღჭურვილობის შესყიდვას, აბასთუმნის მწვანე და ლურჯი დერეფნების რეაბილიტაციას, ობსერვატორიის ტელესკოპის და გუმბათის დამზადება-ინსტალაციას და სხვა. პროგრამით გათვალისწინებულ სამუშაოებზე ტენდერების გამოცხადება, მსოფლიო ბანკის შესყიდვის პროცედურების დაცვით, 2017 წელს დაიწყო.

2016 წელს მთავრობამ დაიწყო მუშაობა ბაღდათი-აბასთუმნის გზის რეაბილიტაციის პროექტზეც და 2016 წლის 18 ივლისის განკარგულებით, საავტომობილო გზების დეპარტამენტს დაავალა ბაღდათი-აბასთუმნის გზის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების შესყიდვა. ამ შემთხვევაშიც, ტენდერი სახელმწიფო შესყიდვის ყველა პროცედურის დაცვით, გამოცხადდა 2016 წლის ნოემბერში. საპროექტო მომსახურების დოკუმენტაცია მზადდებოდა ეტაპობრივად და დასრულდა 2019 წლის ივლისში. საპროექტო სამუშაოების დასრულების პარალელურად, ეტაპობრივად ცხადდებოდა ელექტრონული ტენდერი სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე, მათ შორის, 2017 წელს გამოცხადდა ტენდერი აბასთუმნიდან ბაღდათის მიმართულებით 3,2 კმ-იანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, ხოლო 2018 წელს — აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობისათვის საჭირო ალტერნატიული მიმართულებების ანალიზისა და დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებაზე.

ეგრეთ წოდებული კვლევის ავტორების მიერ შეგნებულად იქნა უგულებელყოფილი ის ფაქტიც, რომ აბასთუმნის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პროექტირების შესყიდვისთვის, „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ ტენდერი 2016 წელს გამოაცხადა. 2018 წლამდე გამოცხადდა ტენდერი და გაფორმდა ხელშეკრულება წყალარინების სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციაზეც.

უცნაურია, რატომ არის გასაკვირი აბასთუმანში წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის განვითარება, მაშინ როდესაც წყალმომარაგებისა და წყალარინების მიმართულებით კომპანიას ქვეყნის არაერთ რეგიონში განხორციელებული აქვს ანალოგიური სამუშაოები. მაგალითად, 2018 წლამდე დაიწყო ყვარლის, კურორტ გუდაურის, ბაკურიანის წყალმომარაგებისა და წყალარინების და წყალმომარაგების სისტემის პროექტირება და სხვა.

რაც შეეხება ტენდერებს, აბსოლუტურად ყველა ტენდერი არის ღია და გამჭვირვალე, რომელშიც ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია მონაწილეობის მიღება, თუმცა ტენდერში იმარჯვებს შესაბამისი გამოცდილების მქონე, უმდაბლესი ფასის მქონე კომპანია. ყველა ტენდერი ჩატარებულია კანონმდებლობის სრული დაცვით, რაც საჯაროა და დასტურდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაცული მონაცემებით.

საქართველოს მთავრობის ამოცანა იყო და არის რეგიონების განვითარება. სწორედ ამ მიზანს ემსახურება რეგიონებში მიმდინარე თუ დაგეგმილი ყველა პროექტი. იმისათვის, რომ ამა თუ იმ რეგიონის შესაძლებლობები განვითარდეს არა ფრაგმენტულად, არამედ თანმიმდევრულად, რეგიონის პოტენციალის სრული ათვისებით, ინფრასტრუქტურა რეგიონში უნდა განვითარდეს ერთიანი ხედვით, ყველა სამთავრობო უწყების ჩართულობით. მთავრობა აგრძელებს ჩვენი ქვეყნის საკურორტო ზონების განვითარებას, რომლისთვისაც 2023 წლის ბიუჯეტში 200 მილიონი ლარი უკვე გათვალისწინებულია.

**ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მიერ გავრცელებულ, უამრავი ფაქტობრივი უზუსტობით გაჯერებულ ინფორმაციას, ნამდვილად ვერ განვიხილავთ კვლევად. მეტიც, ეს არის დეზინფორმაცია, რომელიც შეგნებულად ემსახურება საზოგადოებაში სამთავრობო უწყებების საქმიანობის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების გაღვივებას...“**






# საწვავის საგრძნობი გაიაფება დაწყებულია და მთელი დეკემბერი გაგრძელდება!

**რუსულ ნავთობზე ფასის ზედა ზღვრის დაწესებამ არა მარტო მათი პროდუქცია გააიაფა, არამედ გლობალურად შეცვალა ვითარება. ბოლო რამდენიმე დღეა საერთაშორისო ბირჟებზე სწრაფად იკლებს შავი ოქროს ღირებულება. ასეთ ვითარებაში გაიაფებაა მოსალოდნელი საქართველოს საცალო ბაზარზე. ბენზინის ფასმა შემცირება უკვე დაიწყო და ტენდენცია მინიმუმ მთელი დეკემბერი გასტანს.**

საერთაშორისო ენერგეტიკულ ბირჟაზე რუსული ნავთობის ღირებულების მკვეთრი ვარდნა გრძელდება. ბოლო ინფორმაციით, 1 ბარელი „ურალსის“ ფასი კიდევ 4.2%-ით დაეცა და 55 დოლარამდე ჩამოვიდა. მკვეთრი შემცირების ტენდენციაა საერთაშორისო ბირჟებზეც, სადაც 1 ბარელი „ბრენტის“ ღირებულება 77 დოლარამდე შემცირდა, ხოლო ამერიკული მსუბუქი ტიპის ნავთობის ფასი კი 72 დოლარს გაუტოლდა.

ჯერ კიდევ, სანამ ევროკავშირი რუსეთს ემბრაგოს დაუწესებდა, 1 ბარელი რუსული ნავთობი 69 დოლარი ღირდა. ახლა ევროპა 60 დოლარზე მეტის გადახდას არ აპირებს, სავარაუდოდ, არც სხვა შეიძენს ამაზე ძვირად, ვინაიდან საერთაშორისო ბაზარზე უკვე აღარ არის დარჩენილი ისეთი მყიდველი, რომელსაც „ურალსში“ 60 დოლარზე მეტის გადახდა სურდეს. ამიტომ დიდი ალბათობით, ახლო მომავალში რუსეთიდან შემოტანილ საწვავზე, განსაკუთრებით ბენზინზე, საქართველოში ფასი უნდა შემცირდეს. მცირე ავტოგასამართ სადგურებზე ეს პროცესი უკვე დაწყებულია. 1 ლიტრი „რეგულარის“ ღირებულება უკვე 2,40-2,45 ლარის ფარგლებშია.

„გლობალური სავაჭრო ჯგუფის“ ხელმძღვანელი **ვანო მთვრალაშვილი** აღნიშნავს, რომ ბოლო თვეების განმავლობაში ადგილობრივ ბაზარზე ბენზინის ფასი შემცირების ტენდენციით ხასიათდება და არსებული ვითარების გათვალისწინებით, დეკემბერშიც ასე გაგრძელდება.

როგორც ჩანს, საწვავის გაიაფება მართლაც გარდაუვალია. ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის ხელმძღვანელი **ვახტანგ იობაშვილი** ადასტურებს, რომ ტენდენცია დიდი ხნის განმავლობაში შენარჩუნდება. ახლა ძნელი საპროგნოზოა, თუ რამდენით დაიკლებს ფასი, მაგრამ ცვლილება აუცილებლად მოსალოდნელია.

**„გლობალურ ბაზრებზე და საქართველოშიც საწვავის გაიაფების ტენდენცია თვეების განმავლობაში მიმდინარეობს. მოცემულობა არც ახლო მომავალში შეიცვლება და საწვავის ფასი ეტაპობრივად გააგრძელებს კლებას. ის ზღვარი რაც დაუწესეს რუსეთს, დიდ ცვლილებას გამოიწვევს. თავისი გადაწყვეტილებით ევროპამ არა მარტო რუსეთს დაუქნია თითი, დიდი სანავთობო ქვეყნებიც იძულებული გახადა, იმოქმედონ. ისეთი მსხვილი მოთამაშე, როგორიც რუსეთია, საერთაშორისო ბაზრებზე 60 დოლარზე მეტი ფასით ვერ შევა. პარალელურად სხვებიც მიხვდებიან, რომ ფასი უნდა გაათანაბრონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნავთობპროდუქტებს ვერ გაყიდიან.**

**ქართული კომპანიები და მომხმარებლებიც საბოლოოდ მოგებული დარჩებიან. ცხადია, გაძვირება არც ერთი კომპანიის ინტერესში არ არის, რაც შეღავათიანი ფასია, მით უკეთესი რეალიზაციაა და შესაბამისად, ბიზნესსაც მეტი მოგება რჩება“,** — განაცხადა ვახტანგ იობაშვილმა.

**ბექა დანელია**

# „კულტურა არ ყვირის, არ იგინება, მაგრამ მას უდიდესი ძალა აქვს“

## გამოხმაურება ვახტანგ დავითაიას წერილზე

**გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ პარასკევის, 25 ნოემბრის ნომერში გამოაქვეყნა რუსთაველის პრემიის ლაურეატის, არქიტექტორ ვახტანგ დავითაიას მიმართვა სათაურით — „კულტურა არ ყვირის, არ იგინება, მაგრამ მას უდიდესი ძალა აქვს“.**

მიმართვა ქართველი ერის ღირსების განმსაზღვრელ ორ მნიშვნელოვან საკითხს ეხება. **პირველი** — მახათას მთაზე ახალი პანთეონის ტერიტორიაზე გამოჩენილ მოღვაწეთა დაკრძალვის ფორმას. **მეორე** — საქართველოს უდიდესი მეფის, დავით აღმაშენებლის ძეგლის შეუფერებელ სივრცეში განთავსებას. ორივე ეს პრობლემა დიდი ხანია დგას ქართული ელიტური საზოგადოების წინაშე.

მიმართვის პირველი საკითხი, სათაურით „მინი არლინგტონი მახათას მთაზე“, ზუსტად განსაზღვრავს პრობლემის არსს. სადავო თემაა საფლავების ტიპიურობა და დაკრძალვის არაჰუმანური, არაქრისტიანული წესი, რაც მეუღლეების დაშორიშორებაში გამოიხატება.

ამ „ნოვატორული“ იდეის საფუძველზე სამოცდათერთმეტი ტიპური საფლავი „ამშვენებს“ მახათას მთაზე ახალ პანთეონს.

ვეთანხმები ბატონ ვახტანგ დავითაიას, ეს იდეა არლინგტონის ჯარისკაცთა სასაფლაოდან იღებს სათავეს, სადაც არქიტექტორულ-მხატვრული, ფსიქოემოციური მუხტი ძალიან ძლიერია. ამ მუხტს განაპირობებს ის გარემოება, რომ დაკრძალულებს აერთიანებთ ჯარისკაცობა. ერთსახოვანი საფლავების განლაგება სწორხაზოვან კომპოზიციურ ღერძებზე, მონოტონურობა იწვევს დაკრძალულებისადმი მოწიწების გრძნობას.

მახათას მთაზე დაკრძალულნი ჯარისკაცები არ არიან... ისინი სხვადასხვა დარგის მოღვაწენი ბრძანდებიან და ერთგვაროვანი საფლავები მათდამი უყურადღებობის და ხსოვნისადმი პატივის მოხდის ყველაზე პრიმიტიული და მცდარი გამოხატულებაა...

დამთვალიერებელი ამ სივრცეში, ბუნებრივია, არ მოხვდება, რადგანაც სანახავი და აღსაქმელი იქ არაფერი დახვდებათ.

რაც შეეხება იმ თვალსაზრისს, დაიკრძალოს თუ არა მეუღლე საზოგადო მოღვაწის გვერდით, ამაზე დავა და ჭოჭმანი არ შეიძლება. მეორე ნახევარი, თანამეცხედრე, მეუღლე — ეს სიტყვები ქართულ ლექსიკას ძველთაგანვე ამდიდრებს და ქრისტიანული წესით ისინი ოდითგანვე ერთად იკრძალებოდნენ.

გნებავთ, ჩამითვალეთ ეს მოსაზრება სუბიექტურად, გადაჭარბებულად, მაგრამ ზოგიერთი საზოგადო მოღვაწე გარკვეულ სიმაღლეებს ვერ მიაღწევდა, რომ არა მათზე მზრუნველი და ყურადღებიანი მეუღლეები, თანამეცხედრეები, რომლებიც ერთგულად ედგნენ თავიანთი „პირველ“ თუ „მეორენახევრებს“ გვერდით.

მედალს, რომ იტყვიან, მეორე მხარეც აქვს, სასაფლაოები მცირე არქიტექტურის თვალსაჩინო ნიმუშებია და ის უხსოვარი დროიდან მოჰყვება ქართულ ხუროთმოძღვრებას და რომლის საოცრად დახვეწილი მაგალითები მრავლად გვინახავს.

გავიხსენებ ბატონ ვალერი ასათიანის ფერადოვან წიგნს „ლეჩხუმი“, რომელშიც წარმოდგენილია სოფელ ლაჭეპიტას ძველი სასაფლაოს ძეგლები. ისინი თავისი მხატვრული ღირსებით წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებენ.

* * *

**მეორე, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი, ისევ და ისევ დიდი მეფის დავით აღმაშენებლის ძეგლის განთავსების საკითხია ყოვლად შეუფერებელ სივრცეში. ეს გადაუწყვეტელი საკითხი, მეათე წელია დგას ქალაქის მერიის წინაშე.**

მე აღარ ჩამოვთვლი იმ ნაკლოვანებათა რიგს, რომელიც მოყვანილია ჩვენი სახელოვანი არქიტექტორის მიმართვაში, მაგრამ ერთი რამ კი მაოცებს, რატომ უნდა შეხვედროდა ქართველი ხალხის სურვილის აღსრულებას ის იდუმალი ბარიერი, რომელიც დღემდე ამოუხსნელი და წარმოუდგენელია?!




პირადად მე ვთვლი, რომ ძეგლის დღევანდელი ადგილსამყოფელი აკნინებს თანამედროვე ქართველი არქიტექტორების პრესტიჟს და პროფესიონალიზმს.

გავიხსენებ ერთ სევდიან ისტორიასაც, როცა დიდმა მოქანდაკემ მერაბ ბერძენიშვილმა მოქანდაკეთა საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილეები მცხეთაში გასამასპინძლებად ავჭალის გზატკეცილით წააბრძანა, რათა სტუმრებს არ ეხილათ დავით აღმაშენებლის ძეგლის ასეთი უბადრუკი მდგომარეობა...

ჩემო ძვირფასო თანამემამულენო! ათი წელი მცირე დრო არ გახლავთ. ათი წელია ერს ეს სატკივარი აწუხებს და დღემდე ვერ გადაგვიწყვეტია.

რა ხდება თითოეული ჩვენგანის თავს?!

ეს დასაფიქრებელია და ღრმად გასაანალიზებელი...

რადგან თბილისის მერია წლების მანძილზე ვერ აგვარებს ამ საკითხებს, საჭირო იქნება კულტურის სამინისტროს და საქართველოს მთავრობის ჩარევა!

**პატივისცემით,**
**თამაზ დოგრაშვილი,**
**არქიტექტორი**

# დავით კუხალაშვილი: რასაც რუსეთის დაზვერვა ბინძურად და პირდაპირი მეთოდოლოგიით აკეთებს, მაღალი დემოკრატიის სახელმწიფოები ამას ღიმილით აკეთებენ...

(მესამე გვერდიდან)

ცრუ მოლოდინები შეიქმნა და ამ ცრუ მოლოდინებმა არა მარტო საზოგადოება შეიყვანა შეცდომაში, ალბათობის მაღალი ხარისხით უკრაინაც. ის, რასაც ეწოდებოდა სადაზვერვო ონფორმაციები, რეალურად, ცრუ მოლოდინებზე იყო დაყრდნობილი და ვხედავთ იმას, რასაც ვხედავთ. კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების კუთხით, აშშ-მა და ევროპულმა სახელმწიფოებმა უნდა ითამაშონ დადებითი როლი. წინააღმდეგ შემთხვევაში ვფიქრობ, რომ ჩვენ არ გვექნება ის შედეგები, რომელიც ჩვენი ეროვნული ინტერესებისთვის იქნება ხელსაყრელი.

**— დასავლეთმა და აშშ-მა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ კონფლიქტი დროულად იქნეს დარეგულირებული, მაგრამ ამ ეტაპზე დაპირისპირებული მხარეები არ არიან მზად მოლაპარაკებისთვის. თქვენ ფიქრობთ, აშშ-ის და დასავლეთის თანამონაწილეობის შედეგია ის, რომ მხარეები ვერ სხდებიან მოლაპარაკების მაგიდასთან?**

— რა თქმა უნდა, ეს არის აქტიური მოქმედება, რაც გამოხატულია უკრაინისთვის შეიარაღების მიწოდებით. ამ ფონზე მოლაპარაკების წარმოება სამხედრო სტრატეგიული თვალსაზრისით, რუსეთისთვის არის წამგებიანი. როდესაც ვსაუბრობთ მშვიდობაზე, ყველა მხარემ უნდა გადადგას თავისი ნაბიჯები და პირველ რიგში იმან, ვინც შუამავლის ფუნქციას ასრულებს. თუ დაინტერესებული არის აშშ და ევროპის სახელმწიფოები ამ კონფლიქტის დარეგულირებით, ამ შემთხვევაში, გარკვეულწილად, მათ თავიანთ მოქმედებებს უნდა გადახედონ. მე, მაინც ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე ადგილი აქვს გარკვეულ პროვოცირების ელემენტებს უკრაინასთან მიმართებაში და ცრუ იმედების გაღვივებას. საბოლოო ჯამში, ვფიქრობ, რომ უკრაინის ეროვნული უსაფრთხოებისათვის დამანგრეველია ის, რაც ხდება.

**— რა გზა აქვს დასავლეთს — არ დაეხმაროს უკრაინას, როცა საქმე გვაქვს აგრესორთან, რომლის მთავარი მიზანია უკრაინის დაპყრობა?**

— ჩვეულებრივი პროცესია, როდესაც მიმდინარეობს საიდუმლო მოლაპარაკებები, შუამავალი სახელმწიფოები გარკვეულ კონსენსუსს აღწევენ. როგორც ეტყობა, ამ ეტაპზე დასავლეთი და აშშ კონსენსუსამდე ვერ მიდიან. ამ შემთხვევაში, რუსეთი წაგებაზე არ იმუშავებს. პოზიციების დათმობა ნიშნავს ხელისუფლების კრახს, რაც საფუძველი იქნება იმისა, რომ შეიძლება 1917 წელიც კი განმეორდეს რუსეთის ფედერაციაში.

მე, კიდევ ერთხელ ვადასტურებ ჩემს პოზიციას — ევროპულ სახელმწიფოებს და ამერიკასაც თავის სტრატეგიაში უდევთ ერთი რამ — ასე იყო 100 წლის წინ და ასე არის ახლაც — რუსეთი უნდა იყოს ერთიანი და მთლიანი. პუტინი იქნება, თუ სხვა, ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს.

ამიტომ, კიდევ ერთხელ უნდა გავაანალიზოთ ჩვენ და საზოგადოებამ ის გარემოება, რომ მსოფლიო თანამეგობრობას და სადაზვერვო სამსახურებს ჰქონდათ შესაძლებლობა, რომ ეს კონფლიქტი თავიდან აერიდებინათ. ამ შემთხვევაში, არც ერთი უცხო ქვეყნის სადაზვერვო სამსახურმა არ გაატარა ქმედითი ღონისძიებები, რომ ეს მოქმედებები არ განხორციელებულიყო. ამიტომ, პასუხისმგებელი ამ პროცესზე არის რუსეთი, როგორც ომის მონაწილე, მაგრამ ინსპირანციის თვალსაზრისით, პასუხისმგებლობა ეკისრება აშშ-ს და იმ ძლიერ ევროპულ სახელმწიფოებს და მათ შორის სამხედრო ბლოკ ნატოსაც, რომელსაც ძლიერი სადაზვერო უწყებები გააჩნია.

**თამთა ქარჩავა**

# პუტინთან დათმობა არ შეიძლება!



**ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, ბორის ჯონსონმა განაცხადა, რომ უკრაინაში მიმდინარე ომი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მარცხით უნდა დასრულდეს.**

მისივე თქმით, რუსული ჯარები 24 თებერვლამდე არსებულ რეალურ საზღვრებამდე უნდა დაბრუნდნენ.

**„ვერც ვოლოდიმირ ზელენსკი და ვერც უკრაინელი ხალხი ვერ შეურიგდებიან განსხვავებულ შედეგს მსგავსი სისასტიკის გამოცდის შემდეგ. პუტინი აუცილებლად უნდა დამარცხდეს. ომი შეიძლება დასრულდეს მხოლოდ ერთი გზით და საკითხავია, რამდენად სწრაფად მოხდება ეს.**

**ასე რომ, მოდით დავაჩქაროთ ფინალი. პირველ რიგში, მოდით მივცეთ უკრაინელებს დახმარება, რომელიც მათ საჰაერო თავდასხმების წინააღმდეგ სჭირდებათ. კიევს ესაჭიროება დრონები, ასევე საზენიტო რაკეტები მათი განადგურებისთვის. მე ვიცი დამღლელი კონტრარგუმენტი იმის შესახებ, რომ უკრაინაში იარაღის მიწოდების გაზრდა ესკალაციების რისკს ზრდის. რა თქმა უნდა, ამ საშინელი კონფლიქტის დაწყებიდან თითქმის ერთი წლის შემდეგ, ჩვენ ვხედავთ, რომ ეს სრული სისულელეა“,** — განაცხადა ჯონსონმა.

# შოლცი პუტინთან მოლაპარაკებებს გააგრძელებს




**გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან მოლაპარაკების გაგრძელებას საჭიროდ მიიჩნევს.**

მისივე თქმით, განსხვავებული მოსაზრებების მიუხედავად, პუტინთან საუბარს გააგრძელებს.

**„ჩვენ სრულიად განსხვავებული მოსაზრებები გვაქვს, თუმცა მე გავაგრძელებ მასთან საუბარს, რადგან მინდა დავიჭირო ის მომენტი, როდესაც შესაძლებელი იქნება ამ სიტუაციიდან გამოსვლა“,** — განაცხადა შოლცმა. ცნობისთვის, ბოლოს შოლცმა და პუტინმა ტელეფონით 2 დეკემბერს ისაუბრეს.



**ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ მაშინაა ადამიანი, როცა იგი თავის — უფალია!..**

გ. რობაქიძე

# <u>ნათელა ვასაძე:</u> მატერიალური სიმდიდრე არასდროს მიძებნია, მაგრამ მაინც ყველაზე მდიდარი ვიყავი...

## გრიგოლ რობაქიძის პრემია, რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში

(პირველი გვერდიდან) გრიგოლ რობაქიძის პრემიის დაარსების იდეაც ამ კედლებში გაჩნდა. ჯილდო გადაეცემათ იმ ადამიანებს, რომლებმაც განსაკუთრებული როლი შეასრულეს ქვეყნის ისტორიაში, თავისი ცხოვრების წესით, ახალ სიმაღლეზე აიყვანეს ქართული განათლების, მეცნიერების, კულტურის და ზოგადად ჩვენი საზოგადოების განვითარება, ხელი შეუწყვეს ერის სულიერი და ზნეობრივი ბაზისის ჩამოყალიბებას.

**გრიგოლ რობაქიძის პრემიის პირველი დიპლომი და ოქროს მედალი მიენიჭა** საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ ცნობილ მეცნიერს, განათლებისა და მეცნიერების უბადლო ორგანიზატორს, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, რუსეთის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატს, თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორს (1972-1985წ.წ.), საქართველოს განათლების მინისტრს (1986-88წ.წ.), 130-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის და პუბლიკაციის ავტორს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს-ქალბატონ **ნათელა ვასაძეს**.



მისი ნაშრომების უმრავლესობა ახალგაზრდობის აღზრდისა და განათლების პრობლემებს ეხება.

**ნათელა ვასაძის** რედაქტორობითა და განსაკუთრებული ძალისხმევით 1987 წელს მოსკოვში რუსულად დაიბეჭდა **„საქართველოს პედაგოგიური აზროვნების ანთოლოგია“.** 1985 წელს ქალბატონი ნათელა აირჩიეს პედაგოგიურ მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის აკადემიკოსად, 1990 წელს კი საქართველოს პედაგოგიური საზოგადოების თავმჯდომარედ, 1995 წლიდან იგი საქართველოს განათლების საზოგადოებრივი აკადემიის დამფუძნებელი, აკადემიკოსი და პირველი პრეზიდენტია. ამჟამად საპატიო პრეზიდენტი...

და ეს ჩამონათვალი არ გახლავთ სრული სია, ამ საოცარი ქალბატონის მოღვაწეობისა და ღვაწლისა.

გრ. რობაქიძის პრემიის კომიტეტის თავმჯდომარემ, გრ.რობაქიძის უნივერსიტეტის რექტორმა, ოქსფორდის „მრგვალი მაგიდის“ ექსპერტმა, ოქსფორდის ქართველთა საზოგადოების საპატიო წევრმა, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, ღირსებისა და ბრწყინვალების ორდენის კავალერმა ბატონმა **მამუკა თავხელიძემ** საპატიო დიპლომი და ოქროს მედალი გადასცა ქალბატონ ნათელა ვასაძეს და განსაკუთრებული რუდუნებით და სიყვარულით გაიხსენა ის ღვაწლი, რაც მას მიუძღვის მრავალი ახალგაზრდა ქართველის წარმატებაში.

... ქალბატონი ნათელა ვასაძის პიროვნებაში ერთნაირადაა შერწყმული სიმკაცრე და დედობრივი სიყვარული, საქმის, ქვეყნისა და ოჯახისადმი თავგანწირვა და ერთგულება. თავად ვარ მომსწრე იმ რეორგანიზაციისა, რაც ქალბატონი ნათელას რექტორად დანიშვნის შემდეგ მოხდა პედაგოგიურ ინსტიტუტში. მან ისეთი გარემო შექმნა, რომ ლექტორებსაც და სტუდენტებსაც გვიხაროდა ინსტიტუტში მისვლა.

ჩემს თვალწინ მიდი-მოდიოდა ყველა ის ადამიანი, ვინც მასთან მიღებაზე, სათხოვარზე თუ საჩივლელად მოდიოდა. თითოეული ადამიანის პრობლემა თუ გასაჭირი არასდროს დაუტოვებია უყურადღებოდ.

მას არასდროს ღალატობდა ინტუიცია იმ ადამიანების შერჩევაში, ვინც მის გვერდით უნდა ყოფილიყო. აღზრდა-განათლების ურთულეს დარგს მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მიუძღვნა.

ჩემთვის და არა მარტო ჩემთვის, არსებობდა ინსტიტუტის რექტორი ნათელა ვასაძე, ყველაზე დიდი დასაყრდენი და ქომაგი, რომელიც სამაგალითო იყო თავისი მოღვაწეობით. როცა პირველად მასთან მივედი სამსახურის საძებნელად, ჩემთვის მეტობით დაუშვა შტატი და მას შემდეგ გვერდიდან არ მოვუცილებივარ.

წლების განმავლობაში ვიყავი რექტორის მოადგილე, მინისტრი გახდა, მინისტრის თანაშემწედ დამნიშნა და დედობრივი, მშობლიური დამოკიდებულებით ზრუნავდა ჩემზე, ყველა თავის რჩეულ კოლეგაზე...

თუ დღეს მე პასუხისმგებლიანი რექტორი, კოლეგა და ადამიანი ვარ, ეს ყველაფერი, ჩემი დედობილის, ნათელა ვასაძის დამსახურებაა. უანგარო სიკეთე არასდროს იკარგება. სწორედ უანგარო სიკეთის მაგალითებითაა სავსე ნათელა ვასაძის ცხოვრება... და მე, მამუკა თავხელიძე ვარასდროს გადავიხდი მის ამაგს.

მის სიკეთეებზე საუბარი შორს წაგვიყვანს, მაგალითისთვის იმის გახსენებაც საკმარისია, თუ როგორ დანიშნა მან დამატებითი გამოცდა უცნობი აბიტურიენტი გოგონასთვის, რომელმაც 3 გამოცდა უმაღლესი შეფასებით ჩააბარა და მოულოდნელად მე-4 გამოცდაზე არ გამოცხადდა. ქალბატონმა ნათელამ პირადად გაარკვია მისი ამბავი. თურმე, დედა გარდაცვლოდა და ამიტომ ვერ გამოცხადდა ბოლო გამოცდაზე. მისი გულისთვის დანიშნა სპეცგამოცდა და მერეც წლების განმავლობაში ზრუნავდა მასზე.

არ ვიცი, როგორ ახერხებდა ეს საოცრად დახვეწილი ქალბატონი ყოფილიყო ძალიან მკაცრი და ამავდროულად დედასავით მზრუნველი, ყველგან სადაც მოღვაწეობდა ისეთ გარემოს ქმნიდა, თავს უფლებას ვერ მისცემდი, მის გვერდით თავჩაუხრელად არ გემუშავა, იგი იყო ყველასთვის მისაბაძი მაგალითი და ამიტომაც ვფიქრობ, რომ მისი ღვაწლი შეუფასებელია.

როცა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში ვფიქრობდით, თუ ვინ უნდა დაგვესახელებინა ახალი პრემიის პირველ ლაურეატად, ჟიურის ყველა წევრმა უპირობო თანხმობა განაცხადა, ნათელა ვასაძის კანდიდატურაზე, რადგან ის ნამდვილად იმსახურებდა ამას...

* * *

**ნათელა ვასაძემ,** ამ მართლაც უბერებელმა, გონებანათელმა საუკუნის პიროვნებამ განსაკუთრებულად თბილი სამადლობელი სიტყვა წარმოსთქვა.

— ჩემს სულსა და გულში დღეს იმდენად ღრმა ემოციებია, ძალიან ძნელია საუბარი... ისღა დამრჩენია უდიდესი მადლობა გითხრათ, **მე არანაირი სიმდიდრე არ მიძებნია, მაგრამ ყოველთვის მდიდარი ვიყავი...**

მდიდარი ვიყავი პირველ რიგში ჩემი ოჯახით, მეუღლით, რომელსაც ყველაზე მეტად გაუხარდებოდა დღევანდელი დღე, მდიდარი ვარ ჩემი შვილებით, შვილიშვილებით და შვილთაშვილებით, ჩემი შვილობილებით, ზოგი მათგანი დღეს აქ გახლავთ, მიხარია, მეამაყება თითოეული მათგანის წარმატება და გვერდში დგომა.

გამორჩეული სიხარულით და სიამაყით ვიღებ ამ ჯილდოს, იმ დიდი და წარმატებული საგანმანათლებლო ორგანიზაციიდან, რომელსაც ჩემი მამუკა ხელმძღვანელობს. სიტყვები არ მყოფნის იმ ემოციის გამოსახატავად, რომ მე გავხდი პირველი ადამიანი, ვინც დიდი ქართველის, გრიგოლ რობაქიძის სახელობის პრემია დაიმსახურა.

მადლობა იმისთვის, რომ მობრძანდით და ჩემთან ერთად განიცადეთ ის სიხარული, თუ რას ნიშნავს 93-წლის ასაკში, კიდევ ახსოვდე და გაფასებდნენ. მადლობა ჟიურის თითოეულ წევრს, ჩემს ოჯახს, გარდაცვლილ მეუღლეს გუგული დანელიას, ჩემს უახლოეს მეგობრებს, ნათელა ლაღიძეს, ინდირა ძაგანიას, ლუბა ბიბილეიშვილს, ჩემს შვილობილებს: მამუკა თავხელიძეს, მალხაზ ბაძაღუას, ზურაბ ხონელიძეს, მოქანდაკე გიორგი შხვაცაბაიას — ბედის ირონიით გოგას ძმა, ზურა ჩემი უფროსი სიძე გახლავთ, რომელმაც თავისთავზე აიღო, ჩემი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, ჩემზე მზრუნველობა...

ჩემს ასაკში ადამიანს ყველაზე მეტად სითბო და ერთგულება სჭირდება. თქვენ ყველანი ჩემი იმედი ხართ, თქვენთან ერთად არ მეშინია ცხოვრების“...

ნათელა ვასაძემ ძველებური პრინციპულობით და პირდაპირობით ისაუბრა დღევანდელ ახალგაზრდობაზეც:

— ვთვლი, რომ დღეს საუკეთესო ახალგაზრდობა გვყავს და ვერავის ვპატიობ, როცა მათზე აუგს ამბობენ. მინდა აქ დამსწრე სტუდენტებმა იცოდნენ, რომ ყველაზე მთავარი არის სამშობლო, ოჯახი და პროფესიონალიზმი! არ დაგავიწყდეთ, რომ პროფესიონალიზმი უმაღლესი დონის პატრიოტიზმია! არ შეგეშინდეთ ხვალინდელი დღის, იბრძოლეთ, იშრომეთ თქვენი მიზნებისთვის და არ დაივიწყოთ, რომ ერთმანეთს ყოველთვის მხარში ამოუდგეთ!..

საღამოზე ქალბატონმა ნათელამ მოაბრძანა ჩვენი უსაყვარლესი პატრიარქის მიერ ნაჩუქარი სანთელი, რომელიც უწმინდესმა ე.წ. „უღმერთო კომუნისტებს“ 32-წლის წინათ აჩუქა. 7 სანთლიდან მხოლოდ ერთი ჰქონია დარჩენილი და ისიც გრიგოლ რობაქიძის ხსოვნას და ამ დაუვიწყარ შეხვედრას მიუძღვნა!

„დღეს სწორედ აქ მოვიტანე ჩემთვის ესოდენ ძვირფასი ნივთი, გრიგოლ რობაქიძემ ხომ მხოლოდ ერთი თხოვნა დაგვიტოვა ქართველებს — „როცა მე ამ ქვეყნად აღარ ვიქნები, მოდიოდეს ვინმე ქართველი დედა ყოველ წელს მცხეთას, მწიფობის, ჩემი დაბადების თვეში. სანთელს ანთებდეს ამ პაწია სალოცავის წინ და ლოცვით ახსენებდეს ჩემს სახელს. მეტს არას ვთხოვ საქართველოს“... და მე ნათელა ვასაძე, მართალია მცხეთაში ვერ, მაგრამ ყოველ შაბათს საკუთარ ბინაში ვუსრულებ ამ დიდ ქართველს საკუთარ ანდერძს.

ნათელა ვასაძის ეს ერთი ცხოვრებისეული დეტალი ნათლად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ეს ერთ დროს „მრისხანე“ რექტორი და პედაგოგი უფლის რჩეული პიროვნებაა!

* * *

**ზურაბ ხონელიძემ** — სოხუმის უნივერსიტეტის რექტორმა, რომელსაც ფრიად საპატიო ადგილი უჭირავს ქალბატონი ნათელას აღზრდილ შვილობილებს შორის, საოცარი სითბოთი და სიყვარულით მიულოცა მას ეს აღიარება.

„ჩვენ გვაქვს ბედნიერება და ფუფუნება, აღვნიშნოთ ასეთი მნიშვნელოვანი პრემიის დაარსება, ეს ნიშნავს, რომ საქართველო ცოცხლობს და სუნთქავს, ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენს სამშობლოს აქვს მომავალი, მეეჭვება, ჩვენს ქვეყანას ბოლომდე ჰქონდეს გააზრებული, ნათელა ვასაძის პიროვნების მნიშვნელობა, მისი ღვაწლი და თავდადება, თქვენ, თქვენი საზოგადოებრივი და მოქალაქეობრივი ნაღვაწით ხართ ჩვენი ქვეყნის გუშინდელი, დღევანდელი და ხვალინდელი დღე.

თქვენი ცხოვრების წესით, აზროვნებით, კეთილშობილებით, სიძლიერით, ჩემს წარმოსახვაში ხართ თამარ მეფე, სხვას ვერავის შეგადარებდით.

თქვენ ნამდვილად იმსახურებთ ყველანაირ ჯილდოს, გილოცავთ, გლოცავთ და მადლობას გიხდით გვერ-



ასე გამოიყურება გრ. რობაქიძის უნივერსიტეტის მთავარი კორპუსის ინტერიერი



დიდი ჯილდოს პირველი მფლობელის გულწრფელი ემოცია...

დში დგომისთვის, დედობრივი სიყვარულისთვის და სიამაყით მინდა აქვე აღვნიშნო, რომ სოხუმის უნივერსიტეტში დაგეგმილია თქვენი სახელობის კაბინეტის გახსნა და თუ ამაზე დაგვთანხმდებით, ეს უდიდესი პატივი იქნება, ჩვენთვის“.

* * *

ნათელა ვასაძეს გულწრფელად მიესალმა საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი **მალხაზ ბაძაღუა.**

ქალბატონი ნათელა გახლავთ ლეგენდარული პიროვნება, სუბიექტური ვარ მე მის მიმართ... განსაკუთრებული დღეა, რადგან პატივი გვხვდა წილად, რომ მადლიერება გამოგვეხატა ამ დიდებული პიროვნებისთვის და მისთვის დამსახურებულად მიგვენიჭებინა ეს ჯილდო. მისი მოღვაწეობა ხომ ნამდვილი საგანძურია ჩვენი ქვეყნისთვის.

* * *

**ნათელა ლაღიძემ** – საქართველოს დიპლომატიის ისტორიაში ერთ-ერთმა წარმატებულმა ქართველმა ქალბატონმა, საფრანგეთში საქართველოს საელჩოს ყოფილმა დესპანმა, საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა იუნესკოში, გამოჩენილმა სახელმწიფო მოღვაწემ გაიხსენა ნათელა ვასაძესთან მეგობრობის და მოღვაწეობის წლები.

„დღეს მოსული ვარ ჩემი უფროსი მეგობრის სიხარულის გასაზიარებლად, მთელი ცხოვრება ერთად მოვდივართ, თქვენ იყავით სათაყვანებელი და სამაგალითო ადამიანი, თქვენი შემართება და საქმისადმი ერთგულება გადამდები იყო ყველა ჩვენგანისთვის.

როდესაც ნათელა ვასაძე დაინიშნა მაშინდელი პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად, ეს სასწავლებელი არც თუ ისე პრესტიჟული გახლდათ, თუმცა რამდენიმე წელიწადში, ნათელამ შეძლო ინსტიტუტი სამაგალითო და წამყვან სასწავლებლად ექცია. მისი ბრძოლისუნარიანობა და თავდაუზოგავი შრომა, მისი ღვაწლი ქართული საგანმანათლებლო სისტემის განვითარებაში, ფასდაუდებელია.

მადლობა ამ შესანიშნავ უნივერსიტეტს, რომ დააწესა გრიგოლ რობაქიძის სახელობის ჯილდო, ჩემთვის ეს „Alma Mater“-ი არის ახალი სიტყვა განათლების სისტემაში, სხვანაირად წარმოუდგენელიც იქნებოდა, რადგან მას ხომ ნათელა ვასაძის გამორჩეული შვილობილი **მამუკა თავხელიძე** უდგას სათავეში. კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას ამ ჯილდოს დაწესებისთვსი და ჩემი გულითადი მეგობრის დაფასებისთვის.

* * *

დაჯილდოების ცერემონიალი გრიგოლ რობაქიძის ვიდეოჩანაწერით დასრულდა:

**„ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ მაშინაა ადამიანი, როცა იგი თავის – უფალია“**!.. რობაქიძის ეს ფრთიანი გამოთქმა ნიშანდობლივად ხაზს უსვამს ქალბატონი ნათელას პიროვნებას. მისი მოღვაწეობიდან და ადამიანობიდან გამომდინარე, ნამდვილად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნათელა ვასაძე მართლაც **თავის – უფალია!**

ცოტა გასაკვირიც კია, როგორ შეძლო ერთმა ქალმა საბჭოთა პერიოდში ამხელა წარმატებისთვის მიეღწია.

ვუყურებდი ამ დახვეწილ, ძლიერ ქალბატონს და წმინდა ილია მართლის „ოთარაანთ-ქვრივი“ მედგა თვალწინ და მისი საკულტო ფრაზა მიტრიალებდა თავში **„სიმართლის საძიებლად რკინის ქალამნებს ჩაიცვამს!..“**

ზუსტად ასეთი განცდა დამრჩა იმ საღამოს... სწორედაც, რომ რკინის ქალამნებს იცვამდა ნათელა ვასაძე იმ ჭეშმარიტი საქმის განსახორციელებლად, რასაც ახალგაზრდობის, ჩვენი ახალი თაობის სწავლა-განათლება ჰქვია.

დღეთა სიმრავლე ვუსურვოთ უბერებელ ქალბატონს, რომელიც სხვათაშორის „დაგვემუქრა“ კიდეც იქ მყოფ საზოგადოებას, რომ 7 წელიწადში, მისი 100 წლის იუბილეზე ყველას უკლებლივ შეგკრებთო.

„საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველთა სახელით განსაკუთრებული მადლობა, გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს და პირადად მის რექტორს ბატონ **მამუკა თავხელიძეს,** რომ დააწესეს ასეთი ღირსშესანიშნავი დღე და პირველი პრემია მიანიჭეს ისეთ პიროვნებას, როგორიც ქალბატონი ნათელა ვასაძეა...

**რუსუდან ქობულია**



**ჰოდა, თითქოს მეზობლის კუხნაში იყვნენ, დასხდებიან დილა-შუადღე-საღამოს სატელევიზიო შოუებში თავის თავზე შეყვარებული ახალგაზრდები თუ არცთუ მთლად ახალგაზრდები და ისე უაპელაციოდ აფრქვევენ თავიანთ უწიგნურობას, თითქოს ქვეყანა ჩალით იყოს დახურული. თუმცა ეს ყველას არ ეხება, მადლობა ღმერთს, არის ერთი-ორი ნათელი სახე კუნაპეტ სიბნელეში, ხოლო ქვეყანა, ჩვენი – ყოველ შემთხვევაში, მართლა ჩალით არის დახურული და ეს კარგად იციან იმ ტელეახალგაზრდებმა თუ არცთუ მთლად ახალგაზრდებმა. იციან და სარგებლობენ კიდეც ამით და ჩალით დახურული ქვეყნის თვალში თავებს აყვავებულ კიტრებად მოაქვთ.**

# ჰოდა, „მალიარი ხარ, ბიჭო“?

ჰოდა, ვინც მიცნობს, კარგად იცის ჩემი დამოკიდებულება ტელევიზიისადმი. ტელევიზიებმაც იციან. იმის მიუხედავად, რომ ტელევიზიაშიც კარგა ხანს ვიმუშავე, როგორც კორესპონდენტმა, წამყვანმა თუ მთავარმა რედაქტორმა, მრავალი წელია, ყველანაირად ვცდილობ, თავი ავარიდო ეკრანზე გამოჩენას, რაგინდ საპატიო სტუმრად ვიყო მიწვეული. სატელევიზიო პროდუქტი კოლექტიური შემოქმედებისა თუ ერთობლივი მუშაობის შედეგია და როგორც არ უნდა კარგი იყოს ერთი კონკრეტული ადამიანის ნამუშევარი, მეორეს ან მეხუთეს ან მეცხრეს შეუძლია ყველაფერი წყალში ჩაყაროს! მით უმეტეს მაშინ, როცა ნებისმიერი შოუს მასპინძელთა დიდ უმეტესობას ნებისმიერი სტუმარი თუ ნებისმიერი სიუჟეტი თავისი ინტერიერის დეკორაციად წარმოუდგენია.

ჰოდა, სწორედ ასე მოხდა 9 დეკემბერს „იმედის დილაში“. რა მოხდა და, მათი პრაქტიკანტის და ჩემი სტუდენტის ერთი უპრეტენზიო სიუჟეტი გაუშვეს. ამ ნიჭიერმა და მოტივირებულმა სტუდენტმა ჩემი ამასწინანდელი გამოფენა დაათვალიერა და რატომღაც სულხან-საბას ნაკვალევზე ჩემი მოგზაურობის ამბები მოეწონა. დამატებითი მასალაც მონდომებით შეისწავლა და როცა მეორედაც მთხოვა, ამაზე მინდა სიუჟეტი გაკეთებაო, უარი ვერ ვუთხარი. ერთი იმიტომ, რომ მუდამ ვცდილობ, როგორც შემიძლია, წავახალისო ინიციატივიანი სტუდენტი და მეორე – საქმე სულხან-საბას და მის მოგზაურობას ეხებოდა. უარი ვერ ვუთხარი და არც შევმცდარვარ: სიუჟეტი, პრაქტიკანტი სტუდენტის კვალობაზე, კარგად იყო აკინძული და ამ საგანს რომ ვასწავლიდე, სტუდენტს მაღალ შეფასებას დავუწერდი, ხოლო პრაქტიკის ხელმძღვანელი რომ ვიყო, რეკომენდაციასაც მივცემდი ტელევიზიაში სამუშაოდ.

ჰოდა, დამთავრდა პაწაწა სიუჟეტი და მეზობლის სამზარეულოში გამოჯგიმულმა ერთმა არცთუ ახალგაზრდა ტელეშოუმენმა სიუჟეტის შეჯამება მოინდომა მენტორული ქილიკით, აქაოდა ბოლო სიტყვა ჩემიაო, და სამიოდე წინადადებაში სამი ისეთი სისულელე თქვა, მეზობლის სამზარეულოშიც რომ არ უნდა თქვას თავმოყვარე ადამიანმა. ვითომდა, რა ბედენაა, ვიღაცას სულხან-საბას მარშრუტი გაუვლია სამ წელიწადში, საბამ ევროპა შვიდ თვეში მოიარაო! თუ თავის პრაქტიკანტს ერჩის პირდაპირ ეთერში, – ძალიან შემცდარა, თუ მე მერჩის – კიდევ უფრო მეტად!

ჰოდა, თქვე კარგო ახალგაზრდებო და არცთუ მთლად ახალგაზრდებო, საათობით რომ ზიხართ ტელევიზორში, ზედაპირულად მაინც გადახედეთ ხოლმე იმ თემას, რომლებზეც მერე ექსპერტის თავდაჯერებით ელაპარაკებით ტელემაყურებელს! როცა საქმეში ჩახედული არ ხართ, ან საერთოდ ხმას ნუ ამოიღებთ ან დასჯერდით ხოლმე ზოგად ფრაზებს, ნუ გადახვალთ კონკრეტულ ამბებზე! აკი იმდილანდელ კომენტარში აშკარად გამოჩნდა, რომ წამყვანის მთელი საყველპურო ცოდნა სულხან-საბაზე მუხრან მაჭავარიანის იმ ცნობილი ლექსით შემოიფარგლება, სიტყვის მასალად რომ იყენებენ ხოლმე. დაგუგლვა მაინც ხომ იცით?! დაგუგლეთ, გეთაყვა, რა აუცილებელია თქვენი უწიგნურობისა და უვიცობის ამბავი მთელ ქვეყანას მოჰფინოთ. რამდენიმე წუთი საკმარისი იქნებოდა საიმისოდ, რომ მერე შარში არ აღმოჩენილიყავით და აღარ გეთქვათ, სულხან-საბას ევროპაში მოგზაურობა მხოლოდ შვიდ თვეს გაგრძელდაო, საფრანგეთის მეფეს ფრანგულად ებაასებოდაო, ტანძიის სკოლა ჰქონდა დამთავრებულიო...

ჰოდა, შენ თავად რომელი სკოლა გაქვს დამთავრებული?! მეუბნებოდნენ და არ მჯეროდა... დაეხსენით, იყოს თავისთვის, ხომ არაფერს აშავებს-მეთქი. არადა, თურმე აშავებს! დავგუგლე და, ერთ-ერთი უნივერსიტეტში მიუწვევიათ ლექტორად. მეტი რაღა უნდა დააშავოს?! საცოდავი მისი სტუდენტები! კიდევ ერთხელ დავგუგლე და, ძველებურად რომ ვთქვა, კულტმასავიკი ყოფილა, თეატრალურის კულტურულ-საგანმანათლებლო დაუმთავრებია. მერე თურმე პრაქტიკული ჟურნალისტიკის ერთი-ორი რამდენიმეთვიანი კურსი გაუვლია უცხოეთებში. რასაც აშავებს, ალბათ მთლად მისი ბრალიც არ არის. საზოგადოდ, ის უფროა გასაკიცხი, ვინც ასე გავლით განათლებამიღებულ ხალხს ლექტორებად იწვევს და პირდაპირ ეთერს ანდობს. კოლეგაო, ჩემზე თქვა. არა ვარ მე მისი კოლეგა! კატეგორიულად ვემიჯნები როგორც ჟურნალისტსაც და როგორც ლექტორსაც.

**ჰოდა, როგორ გინდა, დაარწმუნო თუნდაც ის ერთი სტუდენტი, რომ ტყუილად არ ვეუბნები, ყველაფერი დააზუსტონ, დაგუგლონ მაინც, და რომ ტელევიზია გამადიდებელი შუშაა, სადაც შენი სულ მცირე ლაფსუსიც და უნებლიე წამოცდენაც კი შეიძლება ტოტალურ უვიცობად და სიბრიყვედ გამოჩნდეს. და რომ დაახლოებითი და არაზუსტი ცოდნა უცოდინარობაზე უარესია, რადგან როცა რამე არ იცი, არ იცი და მორჩა, ხოლო როცა გგონია, რომ იცი, სწორედ მაშინ ყელყელაობ და სწორედ მაშინ მოიტეხ კისერს. ტელეჟურნალისტობაზე მეოცნებე სტუდენტებს ხომ ტელეკუხნებში წამოსკუპებული ახალგაზრდები და არცთუ მთლად ახალგაზრდები ერთგვარ იდეალებად დაუსახავთ. მაგრამ არა მგონია, რომელიმე ამგვარი ლექტორის სტუდენტებს შორის ადრე თუ გვიან არ აღმოჩნდეს ერთი მაინც, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს თვალს მოჰკრავს მოწვეული ლექტორის შემთხვევით გადახსნილ ჩემოდანს და სიბრალულით შესძახებს: „მალიარი ხარ, ბიჭო?!“**

ჰოდა, რამდენ ასეთ მალიარს შევხვედრივარ, რამდენ ასეთ კიტრს, რამდენი ასეთი კუხნა მინახავს ტელევიზიით, აკი გადავსებულია ამგვარი კუხნა-სამზარეულოებით ჩვენი ტელეეთერი, მაგრამ თუ ამჯერად ასე მწვავედ გამოვეხმაურე, გარდა იმისა, რომ საზოგადო სენზე მიხდება საუბარი, იმიტომაც, რომ საქმე ჩემს სტუდენტს ეხება, რომელმაც ამთავითვე უნდა იცოდეს, რა როგორ ხდება და რატომ ვერ ჰგუობს მისი ლექტორი დღევანდელ ქართულ ტელევიზიებს. და კიდევ: საქმე ეხება სულხან-საბას. ორბელიანს. რომელსაც, წამყვანის მტკიცების მიუხედავად, ტანძიის სკოლა არ დაუმთავრებია, რაკი ასეთი იქ არ არსებობდა. და ვერც საფრანგეთის მეფეს დაელაპარაკებოდა ფრანგულად, რადგან ფრანგული, მისდა სამწუხაროდ, არ იცოდა. ხოლო ევროპაში მოგზაურობას შვიდი თვე კი არა, როგორც წამყვანმა დაიჟინა, მთელი სამი წელიწადი მოანდომა, როგორც ეს სტუდენტი პრაქტიკანტის სიუჟეტში იყო – ჩლიგ წლიდან ჩლივ წლამდე.

ჰოდა, ნეტა შვიდთვიანი განათლების იმედად არ ვიყოთ ხოლმე, სანამ სატელევიზიო კუხნებში და უნივერსიტეტებში ჩამოვრიგდებით ან ჩამოგვარიგებენ მაღალ-მაღალ თუ ჩვეულებრივ სკამებზე.

**პაატა ნაცვლიშვილი,**
**9 დეკემბერი, 2022**

**ბოლო ორ წელიწადში სომხეთიდან აფხაზეთში 20 000-ზე მეტი ყარაბაღელი სომეხი ჩაასახლეს!**



მარცხნიდან მარჯვნივ რუბენ ტატულიანი, რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატი ალექსანდრე კარელინი, სომხეთის ექს-პრეზიდენტი სერჟ სარგსიანი, ცნობილი სომეხი ბიზნესმენი და ოპოზიციონერი გაგიკ ცარუკიანი.

გავლენას ღიად, როგორც ჩანს, ვერ ახდენდნენ და სავარაუდოდ, ამის გამო შემოიღეს რამდენიმე წლის წინ არაოფიციალური აკრძალვა სომეხი ეროვნების პირთათვის „მოქალაქეობისა“ და ჩაწერის გაცემაზე. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო 5-6 წლის წინ. მაგრამ შემდგომში ეს არაოფიციალური ბრძანება, როგორც ჩანს, გაუქმდა. სხვაგვარად როგორ ავხსნათ სომხეთიდან ჩასახლებულთა რაოდენობის საგრძნობი ზრდა და მათთვის აფხაზური პასპორტების მინიჭება?!

2020 წლის ბოლოს კი, „აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის თანაშემწის“ თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადებაზე ჯერ მელანიც არ იყო შემშრალი – და ე.წ. „დონეცკის სახალხო რესპუბლიკის გმირმა“ ახრა ავიძბამ მთიანი ყარაბაღიდან დევნილებისთვის „დერეფნის“ ორგანიზებას მიჰყო ხელი. „რთულ ვითარებაში აღმოჩენილ ადამიანებს კვლავ უნდა გავუწოდოთ დახმარების ხელი, როგორც არაერთგზის გაუკეთებიათ ჩვენი ისტორიის განმავლობაში ჩვენს წინაპრებს!“, – დაწერა მაშინ Facebook-ში ავიძბამ. თუმცა მისი წამოწყება აფხაზმა ინტერნეტ-მომხმარებლებმა კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს. მათ არათუ მხარი არ დაუჭირეს ავიძბას მოწოდებას, არამედ „გმირი“ „საკუთარი ხალხისთვის ეროვნული საფრთხის შექმნაში“ დაადანაშაულეს. „რისთვის უფრო იღვწის: სამომავლოდ იგროვებ პოლიტიკურ ქულებს, თუ ჩვენი კოლაფსში შეყვანა გსურს? ჩვენს სახელმწიფოს საკუთარი მშიერი მოქალაქეები ვერ გამოუკვებია, არათუ სომხეთიდან დევნილები!“; „თუ ვინმეს ჩამოსახლება, ჩვენი აფხაზი ძმები გვყავს დასაბრუნებელი თურქეთიდან, სირიიდან და ა.შ. ყარაბაღელი სომხებისადმი პატივისცემის მიუხედავად, მათ აქვთ საკუთარი დიდი სამშობლო! კატეგორიული წინააღმდეგი ვარ მათი ჩამოსვლის, ეს უცილობლად მიგვიყვანს კონფლიქტამდე!“, – წერდნენ აღშფოთებული მოქალაქეები.

# აფხაზეთი: „სომხური საკითხი“, მოსკოვის ინტერესები და თბილისის დემონიზაცია

...და კვლავ „საქართველოა დამნაშავე“. ამჯერად – „აფხაზეთში ანტისომხური განწყობების გაღვივების მცდელობაში“. რა საფუძველი აქვს ამ ბრალდებას? – არავითარი. სამაგიეროდ არსებობს ვარაუდები და ეჭვები. კერძოდ, „მაღალი ალბათობით ქართველების ნამოქმედარად“ მიიჩნევს „ანტისომხურ საინფორმაციო ნარატივებს“ დე ფაქტო უშიშროების საბჭოს მდივანი სერგეი შამბა, მის კვალდაკვალ – კიდევ რამდენიმე მოღვაწე და, რაღა თქმა უნდა, რამდენიმე ტროლი სოცქსელში. ყველა მათგანი აქტიურად აღვივებს აფხაზურ საზოგადოებაში თბილისის მიმართ შიშს და ამავდროულად, ცხადია, არ ივიწყებს „მოსკოვის მიმართ ლოიალობის დემონსტრირების აუცილებლობის“ ხსენებასაც.

„ანტისომხური საინფორმაციო ნარატივი“, რომელზეც მიდის საუბარი, სოცქსელის აფხაზურ სეგმენტში ორიოდ კვირის წინ გაჩნდა. ინტერნეტ-დისკუსიაში მონაწილე სომხური დიასპორის წარმომადგენლები მაშინ უკიდურესი აღშფოთებით უწოდებდნენ აფხაზეთში ყარაბაღიდან სომხების ჩასახლების შესახებ მტკიცებას „ბოდვას“. მოგვიანებით ანალოგიური შეფასება მისცა ამ ინფორმაციას სომხურ თემში ცნობილმა ადამიანმა – სურენ კერსელიანმაც, რომელმაც იქვე გამოთქვა ეჭვი, რომ „ამ საქმის უკან ან ქართველები დგანან, ან აზერბაიჯანელები“.

საკითხი დღის წესრიგში დადგა მრგვალ მაგიდაზეც სახელწოდებით „თანამედროვე აფხაზეთის განვითარება ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტში“. „რაც შეეხება ჩვენს უსაფრთხოებას, აუცილებელია ლოიალობის დემონსტრირება რუსეთისთვის და შიდა განხეთქილების არდაშვება. ჩვენ ხომ არაერთგზის გვინახავს ჩვენს ომისშემდგომ ისტორიაში, როგორ „გვიგდებდნენ“ ქართული მხრიდან სხვადასხვა ფაქტორებს ჩვენი შიდა ერთობის მოსარყევად. აგერ, ახლაც „შემოაგდეს“ (ინფორმაცია – რედ.), თითქოს ყარაბაღიდან 50 000 სომეხის ჩამოსახლებას გვიპირებენ... ეს ხომ უეჭველი ქართული სპეცსამსახურების ნახელავია! მართალია, ზოგიერთებს ეჭვი აზერბაიჯანულზე აქვთ, მაგრამ ჩემი აზრით, აქ სწორედ ქართული დაინტერესებაა... დავიღუპებით მაშინ, როცა აქ, ადგილზე, ერთმანეთში ვერ მოვრიგდებით“ – განაცხადა ღონისძიებაზე სერგეი შამბამ.

არსებობს რიგი სხვა ვარაუდებიც – მაგალითად, „შიდა დეზინფორმაციის“ შესახებ. „ასეც შეგვიძლია, ვივარაუდოთ და ისეც. ვიღაცას შეეძლო, მავნებლურად გაევრცელებინა ეს ფეიქი ჩვენი საზოგადოების შიგნით. (...) თანაც არა უბრალოდ ლაქლაქებენ – „გადმოსახლება იგეგმებაო“, არამედ ასახელებენ კონკრეტულ პირებს – აფხაზეთის გმირ გალუსტ ტრაპიზონიანს, პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან – ზურაბ ქაჯაიას და მფარველად თავად პრეზიდენტსაც. ბიზნესიც ახსენეს... სახელდება ციფრებიც – 15 ათასი დოლარი...“ – განაცხადა აფხაზეთის „საზოგადოებრივი პალატის“ წევრმა აბესალომ ქვარჩიამ და იქვე ხაზი გაუსვა როგორც „ფეიქის დამკვეთთა დადგენის“, ისე „იმ იდეოლოგიის მხარდაჭერის“ აუცილებლობას, რომელიც „აფხაზეთში ყველა ეროვნებას გააერთიანებს“.

„შიდა ფეიქის“ ვერსიის განხილვისას შეგვიძლია, გავიხსენოთ მიმდინარე წლის ოქტომბრის სკანდალი აფხაზ ოპოზიციონერ ადგურ არძინბასა და ეროვნებით სომეხ სოჭელ ბიზნესმენ რუბენ ტატულიანს შორის.ამ უკანასკნელმა მანამდე დე ფაქტო პრეზიდენტ ასლან ბჟანიასგან აფხაზური პასპორტი მიიღო. ფაქტის ირგვლივ აგორებულმა დავებმა მაშინ არა მარტო პოლიტიკური, არამედ ეთნიკური ელფერიც შეიძინა და აფხაზურ საზოგადოებაში დიდი მღელვარება გამოიწვია.

მაგრამ ვინც არ უნდა იდგეს ხსენებული „ფეიქის“ უკან, თავად „აფხაზეთის სომხიზაციის“ თემა არახალია: ბოლო წლების განმავლობაში აფხაზურ საზოგადოებაში ხშირად გორდება მღელვარება „დემოგრაფიული კატასტროფის მოახლოებასთან“ დაკავშირებით. აფხაზეთში სომხური ეროვნების პირთა უკონტროლო ჩასახლების საკითხი პერიოდულად დგებოდა დღის წესრიგში, თუმცა სოცქსელებში აღშფოთებულ მოქალაქეთა კომენტარებს იქით საქმე არ მიდიოდა: ყოველ ჯერზე, როცა მსგავსი საუბრები იკრებდა ძალას, საქმეში ერთვებოდნენ 1992-93 წ.წ. „სამამულო ომის“ სომხური ეროვნების ვეტერანები, რომლებიც აფხაზების პატრიოტულ გრძნობებზე თამაშით შეახსენებდნენ მათ ომის დროს გაწეულ მხარდაჭერასა და დახმარებას. არადა, არაოფიციალური ინფორმაციით, აფხაზეთში სომხური მოსახლეობის წილი მართლაც იმდენად გაიზარდა, რომ უკვე არაერთ წელია, აჭარბებს აფხაზურს.

დიდი ხანია, ცნობილია აფხაზეთში სომეხთა ჩასახლების სქემაც. ადგილობრივთაგან არავისთვისაა საიდუმლო, რომ ამ პროცესის უკან სწორედ ის რუბენ ტატულიანი დგას – ყოფილი სპორტსმენი და მსხვილი ბიზნესმენი, რომელიც ყველაფერთან ერთად, რამდენიმე წლის წინ მოკლული „კანონიერი ქურდის“ – „დედ ჰასანის“ მემკვიდრედ ითვლება და რუსულ კრიმინალურ სამყაროში „რობსონის“ მეტსახელითაა ცნობილი. მას შემდეგ ტატულიანი რუსეთის სახელისუფლებო სტრუქტურებში ერთის მხრივ – დანაშაულებრივი სამყაროს, ხოლო მეორეს მხრივ სომხური დიასპორის ინტერესებს ლობირებს. მის ქვემდებარეებაში არსებული ე.წ. „დახმარების ფონდის“ სახსრები ისტორიული სამშობლოდან გადასახლების მსურველი სომხების დაბინავება-მოწყობას ხმარდება. ამასთან, საუბარია არა ათეულ ანდაც ასეულ მოქალაქეზე: გასული წლის მიწურულის მონაცემებით, „ფონდის“ არსებობის განმავლობაში მარტო აფხაზეთში სომხეთიდან 20 000-ზე მეტი ადამიანი ჩაასახლეს.

უკვე ადგილზე ჩასახლებული მოქალაქეების საქმეებს, არაოფიციალური ინფორმაციით, კურირებს სომხური თემის ხელმძღვანელობა. წინასწარ მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით იგი ჩამსვლელთათვის საცხოვრისებს ამზადებს და შემდგომში მათთვის პასპორტების გაცემაზეც ზრუნავს. ბოლო დრომდე ჩასულ სომხებს აბინავებდნენ სახლებში, სადაც ისინი 6 თვემდე ვადით (სწორედ ამდენი სჭირდებოდა ტატულიანსა და მის ადგილობრივ თანაშემწეებს ყველა აუცილებელი საბუთის წესრიგში მოსაყვანად) რჩებოდნენ. მაგრამ მოგვიანებით ეს დრო საგრძნობლად შემცირდა და აფხაზეთში ჩასულ სომხებზე საბუთები პრაქტიკულად ჩასვლისთანავე გაიცემოდა.

თანაც, არ იფიქროთ, რომ ჩასახლებულებს მცირეგაბარიტიან ოთახებში უწევთ მძიმე ყოფა: დროებითი საცხოვრისები წარმოადგენს მაღალი გალავნით შემოსაზღვრულ 2-3-ჰექტრიან ტერიტორიებს, რომლებზეც თანამედროვე ორსართულიანი სახლებია აშენებული (თითოეულ ასეთ ნაკვეთზე – 8-8 სახლი). უცხო პირს მსგავს დასახლებებში მოხვედრა ეკრძალება. სადღეისოდ მარტო გაგრის რაიონში უკვე რამდენიმე ასეთი დროებითი საცხოვრებელი ბაზაა. უზარმაზარ ტერიტორიებზე სომხური ოჯახების მთელი კოლონიაა გაშლილი და ახლადჩასულები სულ ორიოდ თვეში ოფიციალურად უერთდებიან აფხაზეთის მოსახლეობის რიგებს.

„გაგრის რაიონი სომხებს უკვე სრულად აქვთ ოკუპირებული. იქ თითქმის აღარ დარჩა სხვა ეროვნების მცხოვრები. ამასთან, ისინი როგორც განაპირა სოფლებში სახლდებიან, ისე ზღვის სანაპიროზეც და ამ უკანასკნელს აშკარად ანიჭებენ უპირატესობას“, – ყვება ჩვენი რესპონდენტი ალექსეი და იქვე დასძენს, რომ აფხაზეთში მცხოვრები სომხების უმრავლესობა ყარაბაღელია, თანაც სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის ბოლოდროინდელ გამწვავებამდე ბევრად ადრე ჩასახლებული.

აფხაზური „სახელმწიფო“ უწყებები რუბენ ტატულიანის მიერ მართულ პროცესზე ავიწროებულ ინტერნეტ-მომხმარებლებმა... 

მსგავსი რეაქციის შემდეგ ყარაბაღელი დევნილებისთვის დერეფნის გახსნის საქმე ჩაიფარცხა. ეს – ოფიციალურად, მაგრამ არაოფიციალურად ჩასახლების პროცესი სომეხი მფარველების ძალისხმევით არათუ გაგრძელდა, არამედ კიდევ უფრო ინტენსიური სახე მიიღო.

„არ მჯერა, რომ ჩვენს სახელმწიფოში არავინ უწყის, რა ხდება. სომხებით გაივსო აფხაზეთი და ისინი უკვე ჩვენზე – აფხაზებზე მეტნი არიან. ასეთი ტემპებით აფხაზეთი მალე სრულად იქცევა სომხურად და ეს თითქოს არავის აღელვებს! არადა, აფხაზეთსა და აფხაზებს ეს ძალზე სერიოზული შედეგებით ემუქრება. დავიჯერო, ეს არ ესმით?!“ – წუხს ჩვენი გაგრელი თანამოსაუბრე.

ასე, რომ პრობლემა რეალურად არსებობს, თანაც უკვე დიდი ხანია. აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას, რა თქმა უნდა, შეუძლია, განაგრძოს „ქართული კარტის“ გათამაშება მოსახლეობაში თბილისის მიმართ უსაფუძვლო შიშის გასაღვივებლად, რის მიზანსაც ამ ფონზე აფხაზური საზოგადოების დიდი ნაწილისთვის მიუღებელი რუსული ინტერესების რეალიზება წარმოადგენს. სერგეი შამბასა და დანარჩენებს, რა თქმა უნდა, შეუძლიათ, კვლავაც მიაწერონ „ანტისომხური“ და სხვა ნარატივები “მტრის სპეცსამსახურებს“ – ქართულს, აზერბაიჯანულს თუ ზიმბაბვიურს. მაგრამ აფხაზური საზოგადოებისთვის საჭირბოროტო პრობლემებს, მათ შორის – დემოგრაფიულს, ეს, რაღა თქმა უნდა, ვერ მოაგვარებს.

**ეკა ცანავა**

## ევროკავშირი თურქების გამო შეშფოთებულია...

**ევროკავშირი მოუწოდებს თურქეთს, დაიცვას დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები. როგორც ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა, ჟოზეფ ბორელმა გერმანულ მედიასთან ინტერვიუში განაცხადა, უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ, ანკარასა და მოსკოვს შორის სავაჭრო ურთიერთობები გაღრმავდა, რაც ევროკავშირის შეშფოთებას იწვევს.**

მისივე თქმით, ომის დაწყების შემდეგ თურქეთმა რუსეთში პროდუქციის ექსპორტი გაზარდა და უფრო მეტ რუსულ ნავთობს ყიდულობს. როგორც ბორელი ამბობს, ანკარა არ უნდა ეხმარებოდეს რუსეთს დასავლეთის მიერ დაწესებული სანქციებისთვის თავის არიდებაში. მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტსაც, რომ თურქეთი ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანაა და ბრიუსელი ელოდება, რომ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს ევროკავშირის წევრობის ყველა კანდიდატი დაიცავს.

**შეგახსენებთ, რომ თურქეთისა და რუსეთის პრეზიდენტები აგვისტოში შეთანხმდნენ, რომ ეკონომიკურ თანამშრომლობას გააღრმავებენ.**



# „ბიჭვინთა ჩვენია“

## რით დასრულდება ბრძოლა აფხაზეთის საუკეთესო კურორტისთვის

**აფხაზეთი ბიჭვინთის ცნობილ სახელმწიფო აგარაკსა და მის გარშემო 186 ჰექტარ ტერიტორიას რუსეთისთვის გადასაცემად ამზადებს.**

**რამდენიმე დღეში დე ფაქტო დეპუტატები ბიჭვინთის აგარაკებისა და მიმდებარე ტერიტორიის რუსეთისთვის გადაცემის შეთანხმების რატიფიცირებას განიხილავენ. ივლისის შემდეგ აფხაზეთში ამ საკითხზე მწვავე პოლემიკა არ წყდება.**

**„გადაცემის აქტი არის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა, საფრთხე ჩვენი სახელმწიფოებრიობისთვის“,** – წერს თავის მიმართვაში ახალგაზრდული ჯგუფი Hara Hpitsunda (**ბიჭვინთა ჩვენია – რ.თ**) და აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტს მოუწოდებს, მხარი არ დაუჭიროს რატიფიცირებას.

**ახალგაზრდები ტელეგრამსა და ინსტაგრამში დეტალურად აქვეყნებენ ხელშეკრულების მიუღებელ პუნქტებს, მათ შორისაა:**

**დოკუმენტში არასწორად მითითებული კოორდინატები, რომელმაც გადასაცემი ტერიტორიის ფართობი გააფართოვა და 186 ჰექტრიდან 343-მდე გაზარდა;**

**ეს ხელშეკრულება იდება 49 წლით და ავტომატურად ახლდება კიდევ 15 წლით;**

**„ობიექტი“ რუსეთის საკუთრებაში გადადის, მაგრამ არ არის დაზუსტებული, რა შედის – ობიექტში“.**

10 ნოემბერს სოხუმიდან მოსკოვში აფხაზი დე ფაქტო პარლამენტარები გაემგზავრნენ. მათ იმედი ჰქონდათ, რომ რუსეთის დუმაში დანიშნული შეხვედრები დოკუმენტში სადავო ფორმულირებების ნაწილის გამოსწორების საშუალებას მისცემდა. მოსკოვში აფხაზებს დაეთანხმდნენ, მაგრამ დოკუმენტი არ შეცვალეს.

**„ეს არის ერთგვარი ჩიხური ვითარება აფხაზეთისთვის. როგორც ამ დოკუმენტის რატიფიცირება, ისე რატიფიცირებაზე უარის თქმა, გარკვეულ გართულებებს გამოიწვევს. საზოგადოების განწყობების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რატიფიცირებამ დიდი უკმაყოფილების ტალღა შეიძლება წარმოშვას, რომელიც თავისუფლად შეიძლება დემონსტრაციებში გადაიზარდოს. იმის გათვალისწინებით, რომ არსებული ხელისუფლების მიმართ სხვა მრავალ მოუგვარებელ საკითხზე, მათ შორის ენერგოკრიზისზე საზოგადოების მხრიდან კითხვები არსებობს, მოლოდინიც მაქვს, რომ ოპოზიციაც ამ მომენტს ელოდება“,** – ამბობს რონდელის ფონდის მკვლევარი, კონფლიქტოლოგი **ბადრი ბელქანია.**

თუ აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტმა რატიფიცირებაზე უარი თქვა, ეს დააზარალებს ურთიერთობას რუსეთთან, რომელიც სოხუმის ერთადერთი და სტრატეგიული პარტნიორია.

კონფლიქტოლოგს, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში ყოფილ სახელმწიფო მინისტრს პაატა ზაქარეიშვილს მიაჩნია, რომ აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტს ბიჭვინთის აგარაკების ხელშეკრულების რატიფიკაციის გარდა სხვა არჩევანი არ აქვს.

**„ხლართავენ მთელ ქსელს, რათა საზოგადოებამ მტკივნეულად არ მიიღოს რატიფიცირების გადაწყვეტილება და ხალხი არ გამოვიდეს ქუჩაში. როგორც ჩანს, პარლამენტში არის განწყობა, რომ მოხდეს რატიფიკაცია, მაგრამ მერე არ იციან რა მოხდება, ხალხი გამოვა თუ არა ქუჩაში. ამიტომ დროც გაწელეს, სიცივეებისკენ გადაწიეს, რომ დიდხანს ხალხი ქუჩაში არ იყოს. იქ საკმაოდ ნესტიანი ზამთარი და მძიმე შემოდგომაა. მე მგონი, ეშინიათ ხალხის გამოსვლის, მაგრამ მეორე მხრივ ამზადებენ ვითარებას, რომ ხალხმა მთავრობის ჩანაცვლება ვერ მოახერხოს. ესეც რომ მოხდეს და გადმოაყირავონ დღევანდელი ხელისუფლება, არა მგონია, რომ ბიჭვინთას რამე ეშველოს. იმიტომ, რომ ვინც მოვა, ისინი იტყვიან, რომ ჩვენ ჩამოვაგდეთ საძულველი ხელისუფლება, რომელმაც ბიჭვინთა გაყიდა, მაგრამ ჩვენ ვეღარ შევცვლით სიტუაციას“,** – ამბობს პაატა ზაქარეიშვილი.

პირველ დეკემბერს სოხუმში ჩასულმა რუსეთის დუმის თავმჯდომარემ ვიაჩესლავ ვოლოდინმა თქვა, რომ **„დახურულ ფორმატში (აფხაზ პარლამენტარებთან შეთანხმებაზე) საუბარი ძალიან სასარგებლო“ იყოო. მან რამდენიმე სიტყვა დიალოგსა და ნდობაზეც თქვა: „მეგობრობა ორმხრივი მოძრაობის ქუჩააო“,** – უთხრა მან ჟურნალისტებს. ბიჭვინთა გაგრის რაიონში მდებარეობს. ის ზღვისპირა კურორტია აფხაზეთში საუკეთესო ქვიშიანი პლაჟით, თბილი ზამთრით, ზომიერად ცხელი ზაფხულით, მშვიდი ზღვით და ბიჭვინთის კონცხზე რელიქტური ფიჭვის კორომებით.

ბიჭვინთის სახელმწიფო აგარაკი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის ლიდერების საზაფხულო რეზიდენცია იყო. ამ ადგილს რუსეთის ფედერაცია სხვადასხვა შეხვედრისა და ღონისძიებისთვის 1995 წლიდან იყენებს. 2017 წლის აგვისტოში, აგარაკზე იმყოფებოდა რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი.

**„როგორი ურთიერთობა იქნება რუსეთთან 49 წლის შემდეგ, ჩვენ არ ვიცით. არის მისი (შეთანხმების) გადახედვის შესაძლებლობა. გარდა ამისა, მოქმედ შეთანხმებაში ერთმნიშვნელოვნად წერია, რომ რუსეთის ფედერაციის უმაღლესი თანამდებობის პირების გარდა, იქ დასვენება არავის შეუძლია. რა გვინდა, საერთოდ არ ვიცი. დღეს, მედიას თუ გადახედავთ, რუსეთთან ურთიერთობაში ისეთი ნეგატივის ტალღა ავწიეთ... ეს ჩვენს ინტერესებში არ შედის... ზოგად კონტექსტში უნდა შევხედოთ იმას, რაც დღეს მსოფლიოში ხდება. ხედავთ, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობები იცვლება. გვირაბი აშენდება, რომელიც რუსეთს საქართველოსთან დააკავშირებს. ზემო ლარსში გამშვებ პუნქტებს აფართოებენ...“,** – ამბობს უშიშროების საბჭოს დე ფაქტო მდივანი სერგეი შამბა.

თუმცა, აფხაზეთში ცოტას თუ ეპარება ეჭვი იმაში, რომ სოხუმი შეთანხმებას სანქციებში მოქცეული რუსი ოლიგარქების ინტერესებიდან გამომდინარე ლობირებს.

**„ბიჭვინთა ჩვენია“, „ბიჭვინთა ოლიგარქების ხელში აღმოჩნდება“, „თქვენი გადაწყვეტილება მომავალს განსაზღვრავს“, „მშობლიური მიწის გოჯი დიდი სიმდიდრეა“, „გადახედეთ შეთანხმებას“ – ასეთი ლოზუნგები ეწერათ მუყაოს პლაკატებზე აფხაზ ახალგაზრდებს, რომლებიც პროტესტის ნიშნად ქუჩაში გავიდნენ და ხელისუფლების გეგმები დე ფაქტო პარლამენტის წინ გააპროტესტეს.**

**„ჩვენ არავინ გვაფინანსებს და ჩვენთვის არავის უთქვამს, რომ გარეთ უნდა გამოვსულიყავით. ეს ჩვენ გადავწყვიტეთ და ამაზე ჩვენ ვარ პასუხისმგებლები. აქციის რამდენიმე მონაწილეს დამთავრებული აქვს უნივერსიტეტი, მაგალითად, მე ვარ 21 წლის, არიან ისეთებიც, რომლებიც 23 წლის და უფროსები არიან. ჩვენ ბავშვები არ ვართ, უბრალოდ გვინდა, რომ მოგვისმინონ“,** – თქვა სექტემბერში გამართული მსვლელობის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა არიანა კვეკვესკირმა.

**„კომენტარებში გვიწერდნენ, რომ ჩვენი საქციელი იყო რუსოფობიური. ეს საერთოდ არ არის ასე, ჩვენ ძალიან კარგი დამოკიდებულება გვაქვს რუსეთისა და რუსი ხალხის მიმართ, ასეთი რამის დაწერა სრული სისულელეა! არავინ გვაფინანსებს, ჩვენი სპონსორი სოხუმის სანაგვე ურნაა, სადაც პლაკატებისთვის მუყაოს ყუთები ავიღეთ“,** – ჰუთხრა რადიო თავისუფლების პროექტ „ეხო კავკაზას“ სოხუმში სექტემბერში გამართული აქციის კიდევ ერთმა მონაწილემ, სოხუმელმა სტუდენტმა სანდრიკ აბლოთიამ.

შეთანხმების რატიფიცირების შემთხვევაში ბიჭვინთის ყოფილი სახელმწიფო აგარაკის მე-8, მე-9 და მე-10 კომპლექსების, ასევე კაგებეს მე-9 სამმართველოს განკარგულებაში მყოფი სამხედრო ქალაქის მფლობელი რუსეთის ფედერაცია ხდება. რუსეთს ნახევარი საუკუნით, იჯარით გადაეცემა ბიჭვინთის ნაკრძალის 186 ჰექტარი მის მიმდებარე საზღვაო ზოლიც.

**ლანა კოკაია**




ახალგაზრდების მსვლელობა სოხუმში ბიჭვინთის დასაცავად

# მშვიდობა, ბალანსი, კომპრომისი...

## კვლავ არჩეული ლიდერი



**ყასიმ-ჟომარტ ტოკაევმა რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებზე დამაჯერებლად გაიმარჯვა და 80%-ზე მეტი ხმა მიიღო, რამდენიმე კონკურენტისა და საარჩევნო ბიულეტენში არსებული გრაფის – „ყველას წინააღმდეგ“ ფონზე. ახალი კონსტიტუციის მიხედვით, ყაზახეთის პრეზიდენტი შეიძლება, არჩეულ იქნას მხოლოდ ერთი - შვიდწლიანი ვადით. ეს დრო ეძლევა პრეზიდენტს წინასაარჩევნო დაპირებების შესასრულებლად და შემდგომი პროგრამებისა და რეფორმების განსახორციელებლად.**

ტოკაევს ახალ პრეზიდენტს ვერ უწოდებ, ვინაიდან იგი ამ თანამდებობას ბოლო რამდენიმე წელი, იკავებდა და თავი გამოავლინა, როგორც შორსმჭვრეტელმა, სერიოზული გადაწყვეტილებების მიმღებმა ლიდერმა.

გასაკვირი სულაც არ არის ტოკაევის ასეთი მაღალი მხარდაჭერა მოსახლეობის მხრიდან, ვინაიდან სწორედ მისი უმაღლეს თანამდებობაზე მოსვლის შემდეგ დაიწყო ქვეყანაში კოლოსალური დემოკრატიული ცვლილებები, მკვდარი წერტილიდან დაიძრა ბევრი პრობლემური საკითხი, ყაზახეთმა სულ უფრო მეტი ყურადღება მიიპყრო მსოფლიოში, თავისი უდიდესი პოტენციალით. ინაუგურაციის შემდეგ, რომელიც გასული კვირის ბოლოს შედგა, პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა: ქვეყანა ჯერ კიდევ იმ ეკლიანი გზის დასაწყისშია, რომელსაც სამართლიანი ყაზახეთის აშენება ეწოდება, სადაც მეფობს კანონი და იცავენ წესრიგს, სადაც ჯეროვან პატივს მიაგებენ მოქალაქეთა უფლებებს. ასე, ტოკაევის თქმით, საჭირო იქნება დიდი სამუშაოს გატარება საზოგადოების ტრანსფორმაციისთვის, რათა ყაზახეთი საბოლოოდ ჩამოყალიბდეს განვითარებულ სახელმწიფოდ, ჭეშმარიტად დემოკრატიული ინსტიტუტებით. ეს მოდერნიზაცია ცხოვრების ყველა სფეროს შეეხება - განათლებით დაწყებული, ინდუსტრიალიზაციით დასრულებული.

ინაუგურაციის შემდეგ, პრეზიდენტმა დაუყოვნებლივ მოაწერა ხელი რამდენიმე მნიშვნელოვან ბრძანებულებას. პირველ რიგში, ყურადღება მიექცევა სოფლის აღორძინებას, სადაც ქვეყნის მოსახლეობის 40% ცხოვრობს. შესაბამისი კონცეფცია მთავრობის მიერ იქნება შემუშავებული ხუთი წლის მანძილზე. მეორე, 2023 წლის 14 იანვარს დანიშნულია არჩევნები ყაზახეთის სენატში, ხოლო მომავალი წლის ივნისში პარლამენტის მეჯლისის არჩევნებია, რაც ქვეყანაში მიმდინარე საკონსტიტუციო რეფორმის რეალიზების გაგრძელება იქნება. ასე და ამრიგად, ზედა პალატის სადეპუტატო კორპუსის ნაწილის გადახალისება მოხდება კონკურენციისა და ღიაობის პრინციპების საფუძველზე.

ყველაზე უფრო ნანატრი ბრძანებულებაა საზღვარგარეთ უკანონოდ გაზიდული აქტივების სახელმწიფოსთვის უკან დაბრუნების ბრძანებულებაა. ეს არის სამართლიანობის აღდგენისთვის გადადგმული ნაბიჯი. სამწუხაროდ, მსოფლიო საექსპერტო საზოგადოებას ბევრი რამ აქვს მოსმენილი საკმაოდ ხშირად მომხდარ ასეთ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებშიც ფიგურირებენ ყაზახმ ბიზნესმენები და პოლიტიკოსები. მაგალითად, ყველას არაერთხელ გაუგია ბოლო დროის ყველაზე უფრო სამწუხარო მხრიდან ცნობილი მუხთარ აბლიაზოვის შესახებ, რომელმაც ყაზახ მოსახლეობას დიდძალი ფული მოპარა, ამ ფულს ევროპაში მაქინაციური სახით „ატრიალებს“ და ცდილობს, ყაზახეთის პოლიტიკური წყობა დაამხოს.

პრეზიდენტის მტკიცე ნებაა, რომ დაბრუნებული თანხები მოქალაქეთა კეთილდღეობას მოხმარდეს. მან განაცხადა, რომ მოხდება ამ თანხების ჩადება მაღალტექნოლოგიურ წარმოებებში, სკოლებისა და საავადმყოფოების მშენებლობაში, სოციალური პროექტების განხორციელებაში.

პრეზიდენტი თავის გამოსვლაში ცალკე და საკმაოდ ფართოდ შეეხო ყაზახეთის საგარეო პოლიტიკას:

„პრიორიტეტული ყურადღება გამახვილდება მეზობელ სახელმწიფოებთან – ჩინეთთან, რუსეთთან და ცენტრალური აზიის მოძმე ქვეყნებთან, ინტეგრაციული გაერთიანებების ფარგლებში არსებულ პარტნიორებთან, ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობისა და სტრატეგიული თანამშრომლობის საკითხებზე. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ განვავითაროთ მრავალწახნაგოვანი თანამშრომლობა შეერთებულ შტატებთან, ევროკავშირთან, აზიის, ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან, ასევე ყველა დაინტერესებულ ქვეყანასთან. ყაზახეთი რჩება თანამედროვე საერთაშორისო სამართლისა და გაეროს წესდების ერთგული“ – აღნიშნა ყასიმ-ჟომარტ ტოკაევმა.

როგორც ჩანს, ყაზახეთი თავისი პოლიტიკური კურსის ერთგული რჩება და ამა თუ იმ საერთაშორისო საკითხში მხარეს არ ირჩევს. თუ გარემოებები არ დაემუქრება თავად ყაზახეთის ტერიტორიულ მთლიანობას, მის კანონიერ ინტერესებს და არავინ შეეცდება, ხელყოს ქვეყნის სუვერენიტეტი, მისი პოზიცია უცვლელია – მშვიდობა, ბალანსი, კომპრომისი.

**გიორგი მშვიდობაძე**

◉ გრან პრი



ქართველმა მოფარიკავემ, სანდრო გაზაძემ კარიერაში პირველად, გრან პრიზე ვერცხლის მედლის მოპოვება მოახერხა. სანდრომ ამის გაკეთება ორლეანში, GRAND PRIX NUOMA 2022-ზე შეძლო.

## ბაზაძის ვერცხლი

ბაზაძემ ტურნირი ფრანგ ედერ არნისთან 15:11 გამარჯვებით დაიწყო. მეორე რაუნდში ქართველის მეტოქე უნგრელი ნიკოლას ილიასი იყო, რომელსაც 15:9 სძლია. 1/8 ფინალურ ეტაპზე ბაზაძე იტალიელ ჯოვანი რეპეტის დაუპირისპირდა და მეტოქე 15:10 დაამარცხა. ამის შემდეგ იყო 1/4 ფინალური დაპირისპირება, სადაც ქართველმა სამხრეთ კორეის წარმომადგენელ ბონგილ გუს 15:11 სძლია და ნახევარფინალში გავიდა.

ნახევარფინალურ ეტაპზე სანდრო ბაზაძე კარგად ნაცნობ იტალიელ მეტოქეს, ლუკა კურატოლის დაუპირისპირდა, რომელსაც იქამდე 2022 წელს ორჯერ შეხვდა. მადრიდის გრან პრის ნახევარფინალში იტალიელმა, ანტალიაში, ევროპის ჩემპიონატზე კი სანდრომ გაიმარჯვა და ამჯერადაც, გამარჯვებული სწორედ ქართველი მოფარიკავე აღმოჩნდა, რომელმაც კურატოლი 15:6 გაანადგურა და ფინალში გავიდა, სადაც უძლიერეს უნგრელ მოფარიკავეს, სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, არონ სილადის შეხვდა.

ფინალური ბრძოლა ძალიან დაძაბული გამოდგა. ბაზაძემ და სილადიმ დიდი ბრძოლა გამართეს, თუმცა საბოლოოდ გამარჯვება უნგრელ სპორტსმენს დარჩა, სანდრო კი ვერცხლის მედალს დასჯერდა. ეს სანდრო ბაზაძის კარიერაში პირველი ვერცხლის მედალი იყო გრან პრიზე. აქამდე ქართველს კაიროსა და მონრეალში ჰქონდა ბრინჯაოს მედლები მოპოვებული.



◉ ოქტაგონზე

## თოფურიამ მიტჩელსაც მოუგო

**ქართველმა მებრძოლმა ილია თოფურიამ UFC-ში მეხუთე ბრძოლა მოიგო. ის გუშინ აქამდე დაუმარცხებელ ბრაის მიტჩელს შეხვდა, რომელსაც მახრჩობელა ილეთით აჯობა.**

თოფურიამ მეტოქეს მეორე რაუნდში შეუტია და 28 წლის ამერიკელს შანსი არ დაუტოვა. ილიამ მიტჩელს დანებებით მოუგო და UFC-ში ამ სტილში პირველად გაიმარჯვა.

მატადორმა კარიერაში მე-13 ბრძოლა მოიგო. ამ გამარჯვების შემდეგ, ქართველი მებრძოლი ქვემსუბუქი წონის რეიტინგში მე-9 პოზიციაზე გადაინაცვლებს. აღსანიშნავია, რომ ამერიკელს აქამდე 15-დან 15-ივე ბრძოლა მოგებული ჰქონდა და გუშინ პირველი მარცხი განიცადა.

◉ სეზონის ფინიშზე

## ეროვნული ლიგაც, ყიფიანის თასიც...

**მართალია**, ამ დღეებში მთელი საფეხბურთო სამყაროს ყურადღება ყატარში მიმდინარე მუნდიალისკენ არის მიპყრობილი, მაგრამ საინტერესო მოვლენები საქართველოშიც განვითარდა, სადაც ზედიზედ ორი ტიტული გათამაშდა.

**ეროვნული ლიგა.** სეზონის სტარტზე ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ თბილისის „დინამო“ შარშანდელ გვირგვინოსანს „ბათუმს“ 9-ქულიან ჩამორჩენას ამოუქაჩავდა და მე-19 გახდებოდა ქვეყნის ჩემპიონი. ვითარება მას შემდეგ შეიცვალა, რაც დედაქალაქური გუნდის მთავარი მწვრთნელი კახი ცხადაძის ნაცვლად გიორგი ჭიაბრიშვილი გახდა, ზღვისპირელთა ლიდერებმა კვარაცხელიამ და დავითაშვილმა კი კარიერა უცხოურ გრანდებში გააგრძელეს. მერე როგორ!

აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა თავკაცმა მიზანს უკვე მესამედ მიაღწია – მანამდე ტახტზე „ზესტაფონი“ და „საბურთალო“ აიყვანა. მის მიღწევას კიდევ უფრო წონადს ხდის საკვანძო ვითარებაში ჯანმრთელობის სერიოზულ პრობლემასთან ღირსეულად გამკლავება – ამ პერიოდში იგი წარმატებით შეცვალა ასისტენტმა გიორგი დეკანოსიძემ.

რაც შეეხება ტრიუმფატორთა ძირითად ბირთვს, ოქროს ზამთარი მნიშვნელოვანწილად შემდეგ „თეთრ-ლურჯებს“ უკავშირდებათ: კუტალაძე, ტაბიძე, ხვადაგიანი, კალანდაძე, კობოური, მალი, კირკიტაძე, კამარა, ბარნსი, მექვაბიშვილი, ოსიყმაშვილი, მოისწრაფიშვილი, იმრანი, სხირტლაძე, ბილენკი, ანტილევსკი, გაბედავა, სიგუა, ოდიშარია, გონსალვეში.

**რომან ფიფია – „დინამოს“ პრეზიდენტი:** „სასიხარულოა, რომ ტიტული დავიბრუნეთ. ახლა მთავარია, კარგი შეკრება გავიაროთ და კარგი ტრანსფერები განვახორციელოთ. აქედანვე უნდა მოვემზადოთ ჩემპიონთა ლიგის თამაშებისთვის. მადლობა ყველას, ვინც ჩვენ გუნდს გულშემატკივრობდა. თბილისის „დინამო“ დამსახურებული ჩემპიონია!“

*  *  *

**დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასი.** ფინალურ მატჩს მე-8 უმასპინძლა რეგიონმა – ამჯერად ბათუმის ულამაზესმა „აჭარაბეთ არენამ“, სადაც ქუთაისის „ტორპედომ“ შესვენების შემდეგ გატეხა ტურნირის აღმოჩენა – მე-4 ლიგის ბინადარი თბილისის „ლოკომოტივი–2“ – 2:0. მიუხედავად მარცხისა, 41 წლის ლაშა ჭალიაშვილის შეგირდები სათასო ზღაპრისთვის ქებათაქებასა და მადლიერებას იმსახურებენ.

ბუნებრივია, კიდევ უფრო დასაფასებელია რიონისპირელთა ნადავლიც, რომლებმაც მეათე სათასო ფინალი მეხუთე გამარჯვებით აღნიშნეს. ამ მხრივ ისინი მხოლოდ ქართული საკლუბო ფეხბურთის ფლაგმანს – თბილისის „დინამოს“ ჩამორჩებიან (15 ფინალი და 13 ტიტული), მათი მეტოქე რკინიგზელები კი მე-19 გუნდია, ვისაც ფინალში უთამაშია.

გამორჩეულია ქუთათურთა დამრიგებლის ინდივიდუალური მონაგარიც – რევაზ ძოძუაშვილის მსგავსად, მანაც მესამედ მიიყვანა ტრიუმფამდე თავისი გუნდი და მხოლოდ დავით ყიფიანს ჩამოუვარდებიან. დავძენთ, რომ კახა ჩხეტიანი და გიორგი ჩიხრაძე უნიკალურ მიღწევას ფლობენ – მათ საქართველოს თასი მოგებული აქვთ როგორც მოთამაშის, ისე მწვრთნელის რანგში.

ტორპედო – 2022. კვასხვაძე (მე-6 ფინალი და მე-4 მოგება), კუხიანიძე, გიგაური, ტაბატაძე, გეგეჭკორი, მანჯგალაძე, შულაია, ჰამზიჩი, ცინცაძე (მე-4), ქიმაძე (მე-3).



◉ ყატარი – 2022

## საქმენი საგმირონი

**ევროპელთა და სამხრეთამერიკელთა ტრადიციული ქიშპი ყატარის სტადიონებზეც უამრავი საინტერესო ფაქტით აღინიშნა, მაგრამ მეოთხედფინალური პლეი-ოფის სასტარტო დღეს გამართული მატჩები, დარწმუნებულნი ვართ, გულშემატკივართათვის დაუვიწყარი იქნება.**

სიმბოლურია, რომ თითო-თითო წარმომადგენელი ორივე კონტინენტმა შეინარჩუნა, თუმცა ამ კანონზომიერებაშიც მოიძებნება ალოგიკურობის მარცვალი – კერძოდ, ის გარემოება, რომ პირველ წყვილში მოვლენები ისე განვითარდა, რომ ფორუმის დატოვება მის უმთავრეს ფავორიტად მიჩნეულ ბრაზილიას მოუწია, ხოლო მეორის ხიბლი იმ გუნდის გამარჯვებაში გამოიხატა, რომელიც დასჯას უფრო იმსახურებდა.



### ხორვატეთი – ბრაზილია – 1:1

**(დამატებით დროში, ძირითადი დრო – 0:0)**

**პენალტებით – 4:2**

ჯერ ის ვიკითხოთ, რატომ დამკვიდრდა კლიშე, რომ თითქოს ბრაზილია მუნდიალის უპირველესი ფავორიტია. პასუხი მარტივია – პელეს ეპოქიდან მოყოლებული, ხუთგზის ტრიუმფატორები საყოველთაო სიმპათიით სარგებლობენ გულშემატკივართა ფართო სპექტრში, მაგრამ რატომ ვხუჭავთ თვალს უკანასკნელი აღზევებიდან გასულ 20(!) წელიწადსა და ტიტეს მიერ შერჩეული აშკარად გადაბერებული შემადგენლობის იმ ხარვეზებზე, რომლებიც ჯგუფური რაუნდის სტარტზე მოგებულ შეხვედრებშიც კი გამოიკვეთა? ასაკს შემთხვევით არ ვუსვამთ ხაზს – მოდრიჩი და მისი მთელი რიგი პარტნიორებიც ვეტერანებად ითვლებიან, მაგრამ მათ მეტოქეთაგან არნახული ბრძოლისუნარიანობა და სამშობლოს ღირსების დაცვის სამაგალითო უნარი გამოარჩევთ, ეს კი ის კომპონენტებია, შეუძლებელსაც რომ შეგაძლებინებს.

აკი მსოფლიოს მოქმედი ვიცე-ჩემპიონები უკვე მერამდენედ ახერხებენ ჯერ მღვრიე წყლიდან სუფთად ამოსვლას, ხოლო შემდეგ ნერვების ომში – პენალტების სერიაში მიზნის მიღწევას.

ბრაზილია? – ნეიმარი და კამპანია კვლავაც გააგრძელებენ ტრიბუნებისთვის თამაშსა და სარეკლამო რგოლების პერსონაჟობას, მაგრამ მათი მენტალობის გათვალისწინებით, ძნელი სათქმელია, როდის ეღირსებათ ოლიმპის მეექვსედ დაპყრობა. ყოველ შემთხვევაში, უახლოეს 4 წელიწადში მოცდა მოუწევთ.

### არგენტინა – ნიდერლანდები – 2:2

**(ძირითად დროში, პენალტებით – 4:3)**

არ გეგონოთ, წერილის შესავალში გამოთქმული მოსაზრებით სათუოს ვხდიდეთ მესის გენიას. არავითარ შემთხვევაში – როგორც ლიდერს შეჰფერის, მან ჯერ მოლინას გაახსნევინა ზღაპრული გადაცემით ანგარიში, ხოლო შემდეგ თვითონ აქცია გოლად აკუნიას წაქცევისთვის დანიშნული პენალტი – 2:0 73-ე წუთზე. აი, სწორედ აქედან მოყოლებული, საფინალო სასტვენამდე დარჩენილ მცირე დროში უღალატეს საკუთარ საფეხბურთო ფილოსოფიას არგენტინელებმა, ყრუ დაცვაზე გადავიდნენ და სწორედ ამიტომ იმსახურებდნენ დასჯას (სხვათა შორის, თითქმის იგივე განმეორდა მერვედფინალშიც ავსტრალიასთან, მაგრამ მაშინ ძირითადი დროის ბოლო წამებზე სკალონის გუნდი მეკარე მარტინესმა იხსნა).

მათდა სასიკეთოდ, ცისფერზოლიანები მალევე გამოვიდნენ ფსიქოლოგიური შოკიდან და დამატებით დროში გაჩაღებულ ორმხრივ იერიშებში უკვე საფუძვლიან უპირატესობას დაეუფლნენ. საინტერესოა, რას უცდიდნენ ევროპელები 0:2-მდე ან მათი მეტოქენი ურმის გადაბრუნებამდე? – ხომ შეძლებიათ ფეხბურთის თამაში?

დავძენთ, რომ ეს უხეშობაში გადაზრდილი დაუვიწყარი სპექტაკლი 13 ყვითელი ბარათის მიმცემი ესპანელი მსაჯის მატეო ლაოსის შეცდომებმა გააუფერულა.

მეოთხედფინალების მეორე დღეს გამართული მატჩები ძირითად დროში კი ჩაეტია, მაგრამ ვერავინ იტყვის, მარილი აკლდაო. უფრო პირიქით, რადგან მაროკოს სახით საფეხბურთო სამყაროს გმირი ნაკრები მოევლინა.

### მაროკო – პორტუგალია 1:0

ვალიდ რეგრანის გუნდს დაცვის ბურჯები აკლდა და კრიტიკულ ვითარებაში შესაცვლელი ტრავმირებული კაპიტანი საისიც გახდა, მაგრამ პირველი აფრიკული ნახევარფინალისტი მაინც დაიბადა. ალბათ, მომავალში, როცა ემოციები დაცხრება, გაანალიზდება, როგორ იშვა აღნიშნული არაბულ-ბერბერული ფენომენი, ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ქედი მოვიხაროთ მის წინაშე და მივუსამძიმროთ კრიშტიანუ რონალდუს სანაკრებო კარიერის უმთავარტიტულოდ სავარაუდო დასრულება.

### საფრანგეთი – ინგლისი 2:1

ნისლიან ალბიონზე ჰიმნის ტექსტში დედოფლის ნაცვლად მეფე ჩასვეს, მაგრამ ფეხბურთის სამშობლოს გამარჯვებულის ფსიქოლოგია მაინც ვერ აღუდგინეს. **ნახევარფინალები:** ხვალ: არგენტინა – ხორვატეთი. ზეგ: საფრანგეთი – მაროკო (ორივე – 23 სთ).

# მურმან ლებანიძე – ცხინვალში

## „შენთან საქმე მაქვს საშური, კახნიაშვილო სულიკო!..“

**მადლიერმა ქართველმა საზოგადოებამ, წლევანდელი შემოდგომის მიწურულს, – გიორგობის თვეში, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დიდ დარბაზში, პომპეზურად აღნიშნა სასიქადულო პოეტის, მურმან ლებანიძის საუკუნოვანი იუბილე.**

**„რაჭა, ჩემი სიყვარული, ჩემი სავანე!“** – ამ განწყობა-შემართებით მიიჩქაროდა თბილისიდან, ყოველ უქმე-თავისუფალ დროს მშობლიური კუთხისკენ, ცხინვალზე გავლით, ქართული სიტყვის ჩუქურთმის მჭრელი, რომელსაც წინაპართა კერა ანდამატივით იზიდავდა.

ონის რაიონში, სილამაზით თავს იწონებს სოფელი კვაშხიეთი, მისით ამაყობენ იქაური ლებანიძეები. ამ მადლიან მიწაზე კეხველი (ცხინვალის რეგიონი) კირითხუროს, სულიკო კახნიაშვილის ნახელავს წუნს ვერავინ დასდებდა. შვეულს და თარაზოს ისე ატრიალებდა, „დიდოსტატსაც“ გააკვირვებდა. არსაკიძე რომ მოსწრებოდა, ვინ იცის, როგორ გუნებაზე დადგებოდა სულიკოს დალოცვილი მარჯვენით.

ალბათ, ორივე ერთად ისეთ სამლოცველო ტაძარს აიგებდნენ, ბერძნები და რომაელები იქ ჩავიდოდნენ სალოცავად და თაყვანსაცემად.“ მართლა ასეაო?! – ეკითხებოდნენ სახელოვან შემოქმედს. სულმნათი პოეტი ცოტას დაახანებდა, მერე ჭაღარა ულვაშებში ჩაიღიმებდა და ლექსად ხატავდა ხელმარჯვე კირითხუროს:

**„კაცად კაცი ხარ კაცური,**
**არც კალატოზი ურიგო,**
**შენთან საქმე მაქვს საშური,**
**კახნიაშვილო სულიკო!..**
**კაცო, ლომკაცო, მხატვარო,**
**რაც შიგნით დაწყებულია,**
**ხამს, შენვე მიმოამთავრო!“**


მურმან ლებანიძის ძეგლი ონში

და, კოპწია სოფელი კიდევ ერთმა უმშვენიერესმა არქიტექტურულმა შენობამ დაამშვენა. წითელი აგურით ნაშენი საცხოვრისი გაცისკროვნებული დაჰყურებდა სუფრიონს. ცინცხალი შენობის კედლებიდან არეკლილი მზის სხივები საალერსოდ ესალბუნებოდა ტრადიციულ ქართულ სუფრას.

ხვავრიელ მაგიდასთან ფეხზე იდგა ოჯახის თავკაცი, დაღლილ სახეზე ნათელი გადასდიოდა, გულიდან კი ხალასი სტრიქონები მოედინებოდა:

**„სინდისი შენ არ გაკლია,**
**ნამუსი არც ჩვენ გვღალატობს,**
**კი იცი, ეს რაც სახლია,**
**საყდარი გელის კალატოზს!..“**

ომახიანად ბუბუნებდა ერისკაცი და ალავერდს ლიახვისპირელ კალატოზთან გადადიოდა...

**დედაქალაქში ესმა ნაუბარი სულიკოს პროფესიონალობისა, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაშინდელ რექტორს, ბატონ როინ მეტრეველს. მოინახულა ღირსეული თანამემამულე, დაწვრილებით გამოჰკითხა მშენებლობისა და მშენებლის შესახებ. მურმანი მიუხვდა ჩანაფიქრს, ჩვეული სიდინჯით მიუგო, – „უწერაში, შენს კარმიდამოსაც დაამშვენებდა სულიკო კახნიაშვილის მარჯვენით ნაგები შენობა...“ დაამშვენა კიდეც. ისეთი სახლი წამოჭიმა, მნახველი აღტაცებას ვერ მალავდა. მარჯვენას ულოცავდნენ მშენებელს.**

მთავარი მაინც დამპროექტებლის ნიჭი და უნარი იყო. **თბილისის მთავარმა არქიტექტორმა, ბატონმა შოთა ყავლაშვილმა გულითადად მიიღო მეგობრების თხოვნა, სოფლად სახლების დაპროექტების შესახებ.**

ისიც უთხრა: ჩემს პროექტებს გამოცდილი მშენებელი დასჭირდებაო. ასეთი დიდოსტატ-მშენებელი კი, სულიკო კახნიაშვილი გახლდათ.

ვაჰ, დრონი!.. ჟამთა სიავით ოკუპირებული ცხინვალის რეგიონიდან დევნილ დიდი ლიახვის ხეობელებს ახსოვთ, ახლაც კარგად ახსოვთ მურმან ლებანიძისა და შოთა ყავლაშვილის არაერთგზის სტუმრობა სულიკო კახნიაშვილის ფუძეძლიერ ოჯახში.

**როზერტ ოდიკაძე,**
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

### ცრემლით გაცილებთ!

## გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი თავის მემატიანეს ემშვიდობება

# იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი



**გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი იმ იშვიათ ისტორიკოსთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა სამეცნიერო ინტერესების სფერო მრავალფეროვნებით გამოირჩევა. საქართველოს ისტორიის კარდინალური საკითხების შესწავლით დაინტერესებულმა, 15-მდე წიგნისა და 100-ზე მეტი კვლევითი პუბლიკაციის შექმნა მოასწრო.**

**სოფელ ხიდისთავის სკოლის აღზრდილმა წარჩინებით დაამთავრა გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. იყო ტინისხიდის საჯარო სკოლის მასწავლებელი, იმავე სკოლის დირექტორი. 2010 წლიდან გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის დიდი ოჯახის წევრია და მისი ცხოვრების გზაც სამეცნიერო-სასწავლო საქმიანობით კიდევ უფრო შინაარსიანი გახდა. იგი სტუდენტების საუკეთესო მასწავლებელი, თანამშრომლებისთვის სასურველი კოლეგა და მეგობარი, ადმინისტრაციისთვის კი პროფესიონალი და სანდო დასაყრდენი იყო.**

**ბატონი სოსო მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობზე – სტრატეგიული განვითარებისა და საბიუჯეტო სამსახურის უფროსად, უნივერსიტეტის კანცლერად, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანად, ადამიანური რესურსების სამსახურის უფროსად... წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ლეკიანობა და ქართლ-კახეთის სამხედრო-თავდაცვითი სისტემა XVIII-XIX ს. 30-იანი წწ.“. სოსო ალიმბარაშვილმა შექმნა საუკუნეს მიღწეული მშობლიური უნივერსიტეტის მატიანეც, თვით უნივერსიტეტმა კი ბატონი სოსოს დაბადებიდან 60 წლისთავი გასულ წელს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციითა და იუბილარისადმი მიძღვნილი კრებულის გამოცემით აღნიშნა.**

**ხიდისთავში დაბადებულმა იოსებ ალიმბარაშვილმა თავისი საყურადღებო გამოკვლევით გააცოცხლა მივიწყებული დიდი ქართველის, თანასოფლელ დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის სახელი, რომლის დაკარგული საფლავიც მოიძია, განაახლა და შთამომავლობას შემოუნახა.**

**მრავალმხრივი იყო ბატონი სოსოს საზოგადოებრივი საქმიანობაც, რომელიც იტევდა გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ი. სტალინის სახელმწიფო მუზეუმების სამეცნიერო საბჭოების წევრობას, გორის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრობას განათლების საკითხებში, საქართველოს საპატრიარქოს სოფლების ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრის წევრობასა და სხვ.**

**სოსო ალიმბარაშვილს სტუდენტები უსაყვარლეს ლექტორად და უფროს მეგობრად თვლიდნენ. იგი თავის უდიდეს გამოცდილებას, ერუდიციას, ინტელექტს, ცოდნას დაუზარებლად ახმარდა სტუდენტებს, რომლებმაც დაკარგეს მზრუნველი მასწავლებელი, თანამშრომლებმა – ერთგული კოლეგა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ – პროფესიონალი და საქმეზე უზომოდ შეყვარებული პიროვნება, ქვეყანამ – გულმხურვალე პატრიოტი და ოჯახმა – მოსიყვარულე მამა და ბაბუა.**

**დიდი ადამიანები უძეგლოდ იკარგებიანო. თუმცა, ბატონმა სოსომ თავისი ღირსეული ცხოვრებ-მოღვაწეობითა და უბადლო სამეცნიერო გამოკვლევებით უკვე აიგო ხელთუქმნელი ძეგლი და საკუთარი სახელიც სამუდამოდ უკვდავყო.**

**ჩვენო გულიანო მეგობარო, ცრემლით მიგაცილებთ იმ დიდ და შეუცნობელ სამყაროში, სადაც მართალნი განისვენებენ....**

**გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

### სანთელი

# ნოდარ კობერიძე

**თუ გინდა, რომ გაიმარჯვო, ერეტიკოსი უნდა იყო – ასე დაასათაურა ერთ-ერთი კრებული ნოდარ კობერიძემ და, საკუთარი მრწამსის შესაბამისი წარწერით დამშვენებული, საჩუქრად გადმომცა.**

**ასევე უკომპრომისო მოღვაწედ დარჩა ბოლომდე – იქნებოდა ეს კალმოსნად, რედაქტორად, პოლიტიკოსად თუ პუბლიცისტად – რომ იტყვიან, ერის წყლული აჩნდა წყლულად და სამშობლოს მსახურებაში პირუთვნელ სტრიქონებად აკინძული ნააზრევით გაჰქონდა ლელო.**

**ერთმანეთი რაჭაში გავიცანით, როცა ონის „მამისონის“ შესახებ საგაზეთო წერილის მოსამზადებლად კოლეგებთან და დაუვიწყარ ფოტოკორესპონდენტ ელდარ მალხაზიშვილთან ერთად მეწვია. ბუნებრივია, ყველაფერი ოჯახური სადილით დაგვირგვინდა, რაც მოგვიანებით ლამის ნათესაურ ურთიერთობაში გადაიზარდა. არადა, არ დაგავიწყდეთ – ეს ის წლებია, საქართველო ძმათამკვლელ შინაომში რომაა ჩართული და პოპულარული სპორტული გამოცემის „ქართული ფეხბურთის“ თავკაცობა თუ მივლინებებში გამგზავრება სასიცოცხლო რისკთანაა დაკავშირებული.**

**თითქოს უშუქობა და უგაზობა არ ყოფილიყოს საკმარისი, საფიცარ კუთხეს თავს დამანგრეველი მიწისძვრაც დაატყდა და ბატონი ნოდარიც უმალ იავარქმნილ ადგილის დედასთან გაჩნდა, ხოლო მოგვიანებით მშობლიური ამაგი დამდო და რეკომენდაცია გამიწია, ჟურნალისტური საქმიანობა „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციაში გამეგრძელებინა. დამეთანხმებით, მრავლისმეტყველი ფაქტია, რის გამოც მუდამ მისი მადლიერი ვიქნები.**

**საამაყო პიროვნება, მეუღლე, მამა, ბაბუა, საზოგადოების ღირსეული წევრი 40 დღის წინათ განერიდა ცოდვებით დამძიმებულ წუთისოფელს და იმ სამყაროში გადაბრძანდა, სადაც მართალნი განისვენებენ.**

**ნათელი და სანთელი, ძვირფასო ოსტატო!**

**გია პლატონიშვილი**

მარცხნიდან მეორე – ნოდარ კობერიძე


## მკვლელობა ცხელ კვალზე გახსნეს!

**შსს გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განზრახ მკვლელობის ბრალდებით, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი, 1955 წელს დაბადებული, მ.წ. დააკავეს. დანაშაული 10-იდან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**

**გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 1975 წელს დაბადებულ ზ.წ.-ს ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მრავლობითი ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც იგი მომხდარიდან რამდენიმე საათში გარდაიცვალა.**

# „ოქროს პრომეთე“




**კინოთეატრ „ამირანში“ თბილისის 23-ე საერთაშორისო კინოფესტივალის დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. საკონკურსო ფილმები წარმოდგენილი იყო ოთხ ნომინაციაში, რომლებიც საერთაშორისო ჟიურიმ შეაფასა.**

ფესტივალის მთავარი ჯილდო – „ოქროს პრომეთე“ გადაეცა ეროვნულ კონკურსში გამარჯვებულ ფილმებს შემდეგ ნომინაციებში: საუკეთესო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი – **სოსო ბლიაძის** „ჩემი ოთახი“, საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი – **კატალინა ბაქრაძის** „ჩემი მეგობარი ანდრო“, საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმი – **თეკლა ასლანიშვილის** „სახელმწიფო სახელმწიფოში“, საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი – **ანა ჯეგნარაძისა** და **მარიტა თევზაძის** „ჰეი, გუნეშ“.

ამ ნომინაციების გარდა, ჟიურის სპეციალური ჯილდო მიიღო უკრაინელი რეჟისორის, **მარინა ერ გორბაჩის** ნამუშევარმა Klondike. ევროკავშირის სპეციალური ჯილდო, კინოში ადამიანის უფლებების შესახებ იაპონელი რეჟისორის, **ჩი ჰაიაკავას** ფილმა Plan 75-ს დაიმსახურა. ასევე წლევანდელი კინოფესტივალის საპატიო „პრომეთე“ გადაეცათ რეჟისორებს – **აგნეშკა ჰოლანდს** და **ოთარ იოსელიანს.**

თბილისის მე-23 საერთაშორისო კინოფესტივალზე, ერთი კვირის განმავლობაში, 60-ზე მეტი ფილმის ჩვენება გაიმართა. ქართულ პანორამაში წარმოდგენილი იყო ექვსი სრულმეტრაჟიანი და 10 მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, ასევე რვა სრულმეტრაჟიანი და შვიდი მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი.



# ბენქსი ირპენის საპატიო მოქალაქე გახდა

**ანონიმური ბრიტანელი მხატვარი ბენქსი უკრაინის ქალაქ ირპენის საპატიო მოქალაქე გახდა.**

გადაწყვეტილება ბენქსისთვის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების შესახებ ირპენის საქალაქო საბჭომ მიიღო. ადგილობრივი ხელისუფლების თქმით, **„ბენქსიმ საკუთარ ნახატებში ირპენის ბრძოლის ისტორია და მისი აღორძინების იდეები აღწერა“.**

# ნობელის პრემიას მაინც მივიღებთო...



**მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის წლევანდელმა რუსმა ლაურეატმა განაცხადა, რომ კრემლის ხელისუფლებამ უთხრა, უარი ეთქვა ჯილდოზე.**

იან რაჩინსკიმ, რომელიც Memorial-ს ხელმძღვანელობს, განაცხადა, რომ მას უთხრეს, არ მიეღო პრიზი, რადგან ორი სხვა თანალაურეატი – უკრაინული უფლებადამცველი ორგანიზაცია და დაპატიმრებული ბელორუსის უფლებადამცველი – „შეუსაბამოდ“ ჩათვალეს.

Memorial-ი რუსეთის სამოქალაქო უფლებების დაცვის ერთ-ერთი უძველესი ჯგუფია და მთავრობამ გასულ წელს დახურა. რაჩინსკიმ BBC-სთან ინტერვიუში განაცხადა, რომ მიღებული რჩევა არ გაითვალისწინა.

# კალათბურთელი იარაღის დილერის სანაცვლოდ გაათავისუფლეს...

**WNBA-ის კალათბურთელი, ბრიტნი გრაინერი რუსეთის ციხიდან გათავისუფლდა. მან საპატიმროში დაახლოებით 10 თვე გაატარა. გრაინერის სანაცვლოდ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იარაღის დილერი, ვიქტორ ბუტი გაათავისუფლა, რომელიც აშშ-ის ციხეში სასჯელს 12 წელი იხდიდა. აღსანიშნავია, რომ ბუტის 25-წლიანი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი ტერორისტული ჯგუფისთვის იარაღის მიყიდვის ბრალის დამტკიცების გამო.**



თეთრ სახლში გამართულ პრესკონფერენციაზე პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა განაცხადა, რომ პატიმრების გაცვლა არაბთა გაერთიანებულ საამიროებში ხუთშაბათს მოხდა.

შეგახსენებთ, რუსეთის ხელისუფლებამ ბრიტნი გრაინერი თებერვალში მას შემდეგ დააკავა, რაც ქვეყანაში სათამაშოდ ჩასული კალათბურთელის ბარგში კანაფი აღმოაჩინა. მოგვიანებით გრაინერს ნარკოტიკებთან დაკავშირებული ბრალდებით კოლონიაში ცხრა წლით პატიმრობა მიესაჯა.

# ჩაძირულ გემზე ნაპოვნი ბეჭედი – აუქციონზე



**ზურმუხტიანი ბეჭედი, რომელიც ჩაძირული ესპანური გალეონის ნარჩენებში თითქმის ოთხი საუკუნის შემდეგ აღმოაჩინეს, ნიუ-იორკში გამართულ Sotheby's-ის აუქციონზე 1.2 მილიონ აშშ დოლარად გაიყიდა. ძვირფასი ნივთის გაყიდვიდან მიღებული მთელი შემოსავალი უკრაინისთვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევას მოხმარდება.**

ბეჭედი ანონიმმა მყიდველმა საწყის ფასზე გაცილებით ძვირად შეიძინა. აღსანიშნავია, რომ Sotheby's-ის სააუქციონო სახლი ნივთს 70,000 აშშ დოლარად აფასებდა, თუმცა მის სანაცვლოდ 15-ჯერ მეტი გადაიხადეს. 6.25-კარატიანი ზურმუხტით გაწყობილი ბეჭედი ცნობილი ესპანური გალეონის, „Nuestra Seųora de Atocha“-ს ნარჩენებში აღმოაჩინეს. ის 1622 წელს დღევანდელი ფლორიდის სანაპიროსთან ჩაიძირა. როგორც ცნობილია, გალეონის ჩაძირვა ქარიშხალმა გამოიწვია. შედეგად, ბორტზე მყოფი თითქმის ყველა ადამიანი დაიღუპა. 1985 წელს, მყვინთავმა და განძზე მონადირე მელ ფიშერმა განაცხადა, რომ მისმა გუნდმა ესპანური გალეონის მთავარი კორპუსი აღმოაჩინა, სადაც 180,000 მონეტას, 24 ტონა ბოლივიურ ვერცხლს, 125 ოქროს ზოდსა და კოლუმბიურ დაუმუშავებელ ზურმუხტს მიაგნო.განძი 1985 წელს $400 მილიონად შეფასდა, რაც ინფლაციის გათვალისწინებით, დღეს დაახლოებით 1.1 მილიარდ აშშ დოლარს უტოლდება.

# 24 დემონსტრანტს სიკვდილით დასჯა ემუქრება



**ირანში სულ მცირე 24 დემონსტრანტს, ანტისახელისუფლებო აქციებში მონაწილეობისთვის სიკვდილით დასჯა ემუქრება.**

**ირანულმა ყოველდღიურმა გაზეთმა Eternad-მა გამოაქვეყნა აქციის 25 მონაწილის სია, რომლებსაც „ღმერთის წინააღმდეგ ბრძოლაში“ ედებათ ბრალი.**

ისლამური კანონების თანახმად, ეს ბრალდება სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს. სიაში ერთ-ერთია რეპერი, მოჰსენ შეკარი, რომელიც 8 დეკემბერს დასაჯეს. ირანის ხელისუფლებლის განცხადებით, საპროსტესტო აქციების განმავლობაში ქვეყანაში დაახლოებით 200 ადამიანი დაიღუპა, არასამთავრობოების მტკიცებით კი, 2 დეკემბრის მონაცემებით, ირანში მოკლულია 496 ადამიანი, მათ შორის 64 არასრულწლოვანი. ამასთან, დაკავებულია 18 000-ზე მეტი დემონსტრანტი.

# THE NEW YORK TIMES-ის ჟურნალისტები გაიფიცნენ

**გაზეთ The New York Times-ის ჟურნალისტებმა და რედაქტორებმა ერთდღიანი გაფიცვა გამოაცხადეს. ჟურნალისტები პროფკავშირებთან ერთად ხელფასის გაზრდასა და სხვა პირობების გაუმჯობესებას ითხოვენ. „გაზეთის ხელმძღვანელობის წინადადება ხელფასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს ეკონომიკურ სიტუაციას და არ ითვალისწინებს, როგორც ინფლაციას, ასევე აშშ-ში ხელფასის ზრდის საშუალო მაჩვენებელს“,** – განაცხადა პროფკავშირმა. პროფკავშირი ხელფასების 10%-ითა და ბონუსების 8.5%-ით გაზრდას ითხოვს, ხოლო გაზეთის ხელმძღვანელობა ხელფასების მხოლოდ 5.5%-ით გაზრდას ეთანხმება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოზულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 14 დეკემბერს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6802; ევრო - 2.8300;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2811;
100 რუბლი - 4.2862; თურქული ლირა - 0.1437;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5796;
1000 სომხური დრამი - 6.7936

**ამინდი 12 დეკემბრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | -2, | დღე | +10 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -3, | დღე | +10 |
| დასავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | +8, | დღე | +20 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +5, | დღე | +18 |
| თბილისი: | ღამე | +2, | დღე | +6 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge